№ 147

შაბათი, 20 აგვისტო

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან, თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 147

შაბათი, 20 აგვისტო

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ლუარსაბ ქაიხოსროს ძე ყიფიანი, პეტრე სამსონის ძე მაჭავარიანი, დავით ლუარსაბის ძე ყიფიანი, სიმონ ზურაბის ძე და ანნა ივანეს ასული მაჭავარიანები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ სოფ. ბორში უეცრად გარდაიცვალა პირველის შვილი, მეორის მეუღლე, მესამის დაჲ და მეოთხეთა რძალი

სოფიო ლუარსაბის ასული მაჭავარიანისა

განსვენებულს დაკრძალავენ სოფ. ბორში 21 აგვისტოს. (2—1).

„**ქუთაისის მიხეილის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის** გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა წლის **პირველ ენკენისთვეს ქ. ტფილისს, ოლღას ქუჩაზე, ეკ. დიასამიძის სახლში № 4**, ბანკის დირექტორის კანცელარიაში მოხდება, ბანკის წესდების § 17 ძალით, სჯარო ვაჭრობა ამ ბანკში ტფილისის გუბერნიის სოფლის და ქალაქის დაგირავებულ მამულებისა, სავალდებულო გადასახადების შემოუტანლობისა გამო. მეორე და უკანასკნელი **საჯარო ვაჭრობა** იქმნება 16 ენკენისთვეს. გასასყიდ მამულების სიები, მათი სივრცე და ვალების რაოდენობა შეიძლება ყოველდღე ინახულონ ზემოხსენებულ დირექტორის კანცელარიაში. (3—1).

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ჟ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—$1^{1}/_{2}$ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ხ. ქ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.

ბ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არმანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ტფილისის ექიმები.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა—უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლღას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლღას ქუჩა, № 15.

გ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18.—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაჩაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

ბესარიონ პაპავა—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ექვთიმე ვაშაძე—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 122.

ომი და შინაური ცხოვრება

ხანგრძლივ ხოცვა-ჟლეტას ბოლო მოეღო,—საოცარი სისხლის ღვრა შესწყდა, მშვიდობიანობა ჩამოვარდა. იშვიათია ისეთი ადამიანი, რომელსაც არ აშფოთებდეს ათასობით თავის მზგავსთა გაჟლეტა; იშვიათია ისეთი ადამიანი, რომელშიაც ომის ველი შეწუხებას და დარდს არ იწვევდეს. საუბედუროდ, ყველა ადამიანი ასევე ვერ ამჩნევს, რომ ყოველდღიური ცხოვრება იგივე ომის ველია, რომელიც სხვა სახით ათასობით ასახიჩრებს და წუთისოფელს ასალმებს ადამიანებს...

ომი დღევანდელ პირობებში ისეთი რთული მოვლენაა, რომ ის აუცილებლივ შესძრავს მთელ სახელმწიფოს მდგომარეობას. დღევანდელ რთულ სოციალურ ცხოვრებაში, როცა ეკონომიური ინტერესები, როგორც კერძო ადამიანისა, ისე მთელის კუთხეების და სახელმწიფოებისა სოციალურად გადახლართულია ერთმანეთში, ომის ზედმოქმედება ცხოვრებაზე ფრიად დიდია და ხალხისაგან მწვავედ საგრძნობია. სახელმწიფო ეკონომიურად ირყევა ომიანობის მიზეზით. დიდ ომს აუცილებლივ მოსდევს მეურნეობის თითქმის ყოველ სფერაში კრიზისი. ომის სამძიმო შედეგი ყველაზე უფრო მშრომელ ხალხს დაატყდება თავს: აუარებელი სოფლის მუშა, მიწას მოწყვეტილი, აკლდება თავის სახლ-კარს, ველარ შრომობს თავის ოჯახის გამოსაკვებად. სოფელში შიმშილი ჩნდება. ქალაქში მუშაც წარმოების შემცირებით ულუკმაპუროდ რჩება. ერთის სიტყვით, საერთო შიმშილი დიდი ომის აუცილებელი შედეგია.

რუსეთის ცხოვრებაში დღეს უკვე შეწყვეტილ ომს თავისებური გავლენა ჰქონდა. საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარების პროცესი იმდენად გაძლიერდა აქ, რომ, კარგა ხანია, ცხოვრება ველარ ეტეოდა ძველ ბიუროკრატიულ კალაპოტში. მაგრამ მერმისის ძალები ჯერ კიდევ დახშული იყო, საზოგადოების შემოქმედებით ძალას ვერ მოუხერხებია სახელმწიფოს გამგეობაში წილი მიეღო და მოქალაქობრივი ცხოვრება დაემყარებინა. ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ასეთი მდგომარეობა,—ცხოვრების ძველი ფორმების დარღვევა ადვილი საქმე როდია. ძველი რეჟიმი თავის დასაცველად დღეს სარგებლობს ათასნაირ ახალ საშუალებებით, რომელიც მან განვითარებულ ქვეყნებისგან შეითვისა. ჩვეულებრივ დროს, როცა ცხოვრება თითქო მოდუნებულია, სავსებით არ ჩანს ცხოვრებასთან ძველი ფორმის შეუფერებლობა.

და, აი, დაიწყო ომი. სახელმწიფო მმართველობის ყველა ნაწილი ამოძრავდა. ბიუროკრატია იძულებული გახდა მთელი თავისი ძალღონე მოეკრიბა, მაგრამ აქ ნას ბედმა უმტყუნა: გამოაშკარავდა, რომ მას არ შესწევს იმდენი შემოქმედებითი ძალა, რომ ომს გაუძლევს. ყოველ ფეხის გადადგმაზე გამოაშკარავდა მისი სისუსტე, მისი გაკოტრება.

ასეთმა მდგომარეობამ საზოგადოებას განახლების იმედი გაუორკეცა. ხალხი ფეხზე წამოდგა და ახალი ცხოვრების მისწრაფებით გაიმსჭვალა. შეცდომა იქნება, ვიფიქროთ, რომ ძველი ახალს ადვილად დაუთმობს თავის ადგილს,—ისტორიამ ასეთი მაგალითები არ იცის. ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია ყოველთვის შედეგია ხანგრძლივის თავგანწირული ბრძოლისა.

მართალია, ბიუროკრატიას საგრძნობელად შეეკვეცა ფრთები, მაგრამ ჯერ კიდევ მას საკმაო ძალა აქვს. რამდენადაც იზრდება საზოგადოების ცნობიერება და პროგრესიული ძალა, იმდენადვე სუსტდება ბიუროკრატია. ომს კი არ შეეძლო შეექმნა და გაემრავლებინა ძველ წყობილებასთან მებრძოლი ელემენტები, მას არ შეეძლო გამოეწვია აგრეთვე მოქალაქობრივ ცხოვრებას საჭიროებაც. მან მხოლოდ ცხადჰყო და გამოაშკარავა ის, რაც საზოგადოებრივ ცხოვრების ძველ კანში თავს იმალავდა და მკაფიოდ არ იყო გამოჩენილი.

და აი, სწორედ ახლაა საჭირო საზოგადოებამ მთელი თავისი ძალ-ღონე შეიკრიბოს, მთელი თავისი მოქალაქეობრივი გრძნობა გააღვიძოს და ეცადოს, სანამ გვიან არ არის, თავის მოქალაქეობრივ არსებობისთვის შესაფერი პირობები მოიპოვოს.

ვ. სურგულაძე.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

18 აგვისტო.

პარიჟი. 18 აგვისტო, საბერძნეთის მეფე სადამთო პარიზიდან კოპენჰაგენში გაემგზავრება.

ვენა, 18 აგვისტო. ფიქრობენ, რომ უნგრეთის კრიზისი მალე დასრულდება.

ბელგრადი, 18 აგვისტო. სერბიის მიტროპოლიტად 27 ხმის უმეტესობით, წინაამდეგ თვრამეტისა, ამორჩეულ იქმნა ეპისკოპოსი დიმიტრი.

ევლახი, 18 აგვისტო. სომხებისა და თათრების ურთიერთობა გამწვავდა. გუბერნატორი შუშაში წავიდა.

პეტერბურგი გუშინ პროფესორის დიმიტრი ივანეს ძე მენდელეევის სამეცნიერო და საზოგადო მოღვაწეობის ორმოცდა ათი წლის აღსანიშნავად, აუარებელი დეპეშები მოვიდა, თუმცა თვით იუბილიარი აქ არ იმყოფება.—გამომძიებელმა დაასრულა გამოძიება ფინანსთა სამინისტროს რჩევის ყოფილ-წევრის კასპეროვისა, რომელსაც თოთხმეტი ათასი თუმნის გაფლანგვა ბრალდება. კასპეროვის ვექილი ამბობს, რომ მოწმებად ყოფილი მინისტრი ვიტტე, მისი ყოფილი ამხანაგი კოვალევსკი და ფინანსთა ახლანდელი მინისტრი კოკოვცევი იქნებიან მოწვეულნიო.

სვინემიუნდე, 18 აგვისტო. ადმირალმა კილსონმა ადგილობრივი წარჩინებული პირები ინახულა და მწუხარება განაცხადა იმის გამო, რომ ტუდმა ამინდმა საადმირალო გემზე გერმანელების გამასპინძლებას ხელი შეუშალა. ინგლისის ესკადრა დღეით წავა.

ვერხნედნეპროვსკი, 18 აგვისტო. გამოქვეყნდა და გლეხებს დაურიგდა გუბერნატორის დადგენილება, რომლის ძალითაც მამულებზე თავის ნებით საჯაროდ ფასების დადება სასტიკად ეკრძალებათ.

ნიჟნი-ნოვგოროდი, 18 აგვისტო. სახელმწიფო სათათბიროში წარმომადგენლების ასარჩევად ქალაქის საბჭოში გაცხარებული მუშაობაა.

მიტავა. გამოვიდა ბძანება, რომლის ძალითაც მოსწავლეთ საღამოს რვა საათზე გვიან ქუჩაში გამოსვლა სასტიკად აკრძალული აქვთ.

მოსკოვი, 18 აგვისტო. მოწყალების თრი და, 24 დაჭრილი ოფიცერი და 324 სალდათი მოვიდა.

ბობრუისკი, 18 აგვისტო. გამოცხადდა მინსკის გუბერნატორის სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალითაც შეკრება და იარაღის ტარება სასტიკად აკრძალულია.

კრემენჩუგი, 18 აგვისტო. კრემენჩუგის რკინის გზას სადგურზე საქონელს აღარ იღებენ.

ფელეტონი

გუშინ და დღეს

სალამი სამშობლო მხარეს!

(საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებულის დღიურიდან.

სალამი!.. სულ რამდენიმე წელიწადი და ასეთი ცვლილება! გამტერებული იცქირები გარშემო, გაოცებული უსმენ ნალაპარაკევს და თითქოს არ გჯერება თვალით ნახული, არ გერწმუნება ყურით ნასმენი. არ გეჩვენება ეს ყველაფერი, აღარ გეცნობა სამშობლო მხარე; იგი აღარ ჰგავს წინანდელ სურათს. აბა სადღაა თავ-ჩაქინდრული, გულ-ჩათხრობილი, სიცოცხლის ძალას გამოლეული ძველი ქართველი, ბატონის წინ რომ, ოთხად მოხრილი, უზომო შრომას ეფარებოდა? დღეს იგი უკვე, საკინძ-შეკრული, წელში გამართულია; მის ფართო მკერდში საგმირო გული თურმე მოძრაობს; კეთილშობილურ სიამაყით მას თავიც და მკლავიც ზე-აღუმართავს; იგი მოძრაობს, იგი მოქმედებს და ჰლამობს, ზეცას მოსტაცოს ღვთიური ცეცხლი.

თვით ეს ბუნება, სამოთხის დარი, სწორ-უპოვარი ტურფა ბუნება, ნაღველს აღარ გვგვრის, სევდას არ გვიშლის, ახლა სხვა გვარად გვეალერსება; ნახნავნი, ველნი მინდორნი, ტყენი ახლა სხვა გვარად იცქირებიან, ახლა სხვა ჰანგზე, სხვაფრივ აჟღერებენ და აღელვებენ სულის სიმებსა. აგერა ჩვენი ალაზნის ველი, ქირნახულებით აჭრელებული, წინათ რომ გუჯრებს მოგვაგონებდა, სად ცრემლით, ოფლით და სისხლით ჩვენი მუშაკის ტანჯვა-ვაება, უიმედობა და ბედ-შაობა აღბეჭდილიყო; დღეს სულ სხვა გვარად მიმოიცქერის, სულ სხვა სიოსა მიმოაქროლებს. კავკასის მთები, ბუმბერაზებად ცისა სივრცეში ამოზიდულნი, წინათ რომ მწუხრათ გვიდარაჯებდნენ არ ჩამქრალიყო ქართველის კერა! თითქოს შეკრულნი და შებოჭილნი, გრძნეულ ძალთაგან, უძრავად მდგომნი, ველარ ხედავენ სიცოცხლის ტალღას, და ვერც არჩევდნენ თვით მაჯის ცემას. ყინვით ნაკვეთი იმათი თავი შავ-ბნელ აჩრდილებს დაუმონავათ; იქ, იმათ ქედზე მძიმე ტრაგიზმით აღსავსე სურათს ჩვენ განვსჭვრეტავდით. ამირანგმირი მწარე ბედისგან უძრავ ბორკილით მიჯაჭვულიყო და იმის გულ-ღვიძლს ჰგლეჯდა, სწიწკნიდა გაავებული შავი არწივი.

დღეს თუ კვლავ ვხედავთ იქ ამირანსა, იგი სულ სხვა გვარ სურათს გვიჩვენებს; მას ცალი მკლავი ბორკილებიდან ამოუღია და შესდგომია სამარადისოდ მილეწ-მოლეწოს მონობის ჯაჭვი. კავკასის მთებიც ოქროს ტახტს სჭედენ, რომ სათანადოდ მიეგებნენ განთიადის ცხოველ სხივებსა. და ეს სპეტაკი, ნარნარი, ლაჟვარდოვანი ცისა კამარა, მისტერიულ მნათობთ სავანე, სად ბადრი მთვარე მხოლოდ კაეშანს ამოძრავებდა და მხოლოდ ცრემლებს ლოცვად იღებდა! დღეს თვითონ ზეცას ნირი ეცვალა, იგი პირქუშად აღარ დაგვყურებს, დღესასწაულებრ შუბლ-გადაშლილსა, მას თავის ქნარზე თავისუფლების სიმი გაუბამს და ღვთიურ გრძნობით მგზნებარ თითებით ციურ მუსიკას ციურად აჟღერს: „ბრძოლა... გამარჯვება... სიცოცხლე... სიყვარული... სიყვარული“!

ჰოი, სამშობლოვ, მარად ტანჯულო, ნუ თუ ჩამოჰკრა ჟამმა ნეტარმა და ველირსებით შენს აღდგომასა? ნუ თუ ჩვენსკენაც გადმოიხედა და მოგვიგონა ისტორიამ? ნუ თუ ყველა ეს სინამდვილეა და არა სიზმრად მოვლინებული?.. ჰაი, ჰაი, რომ სინამდვილეა! სიზრმების შინჯვა, ლაჩარი ნატვრა, ფუჭი ოცნება გულ-გამეხებულ შენს შვილ-შვილებს წარსულისათვის გადუტყორცნიათ; ცხოველი სიტყვა, ნამდვილი საქმე შენს უბე-კალთას აღუმართნიათ და ახალ დროის, ახალ აბჯარში დარაზმულები საკაცობრიო ბრძოლას შებმიან. ლომებრ მამაცნი მედგრად, უშიშრად წინ მიიწევენ, ისწრაფვიან რომ გამოაღონ შრომის სუფევის პირველი კარი. იმათი საქმე, მათი გმირობა შორით-შორამდე ამბად წასულა; ზღვა-ხმელეთს იქით განათლებული კაცობრიობა აღტაცებული შენ შემოგცქერის, დიად საუკუნის დიდებულ დროშას შენკენა ჰხრიან, სალამს გაძლევენ და გამხნევებენ: ძირს არ დაუშვა გმირული მკლავი, შენვე ჩამოჰკა გამარჯვებისა მეჯლისის ზარი. ისტორიკოსი-მეცნიერები მსოფლიო წიგნში შენ გიმზადებენ ოქროს ფურცლებსა და უცხოეთის პოეტს-რომანისტს ახლა შენ აძლევ ზე-შთაგონებას.

ჩვენო სამშობლოვ, ჩვენო ღვთაებავ! მუხლმოდრეკილი შენს წინა ვდგევარ და სასოებით, კრძალულებითა სალამს მოგიძღვნი, გეთაყვანები. მინდა შეგთხოვო, ნება მიბოძო, რომ ვეამბორო სისხლით დაღარულ შენს გმირულ მკერდსა, გადაგეხვიო, გულში ჩაგეკრა და სიხარულის ცრემლი ვაფრქვიო!..

I.

გლეხობა.

ჩვენ წინ ორი სურათია, ორის სხვადასხვა ეპოქის გამომხატველი, თუმცა მათ მხოლოდ რამდენიმე წელიწადი აშორებს ერთმანეთს. პირველი სურათი წარმოადგენს ფეოდალურ-ბატონყმობისებურ ტლანქს, გვერდზე წამოწოლილ შენობას, რასაც სათავეც გასტეხია და საძირკველიც გარღვევია; მასში თავხედად, ხეპრედ, მაგრამ ძლიერად შექედილა ახალი სახლის მასალა. შიგნით ირევიან და ბარბაცობენ ყველა ჯურის ხალხი, ყველა წოდებანი, რომელნიც არც ძველ წოდებათ ჰგვანან, არც ახალ კლასებს. დახავსებულ, ყავარ-ყავარ დაპაპრულ კედლების ბნელ ჩრდილოებში უცნაურ სამჭედურებს მოსხდომიან კისერ გამაგრებული „ქურუმნი“ და ნახევრად ტიტველ, ჭირის ოფლში გაცურებულ ადამიანთა საშუალებით ადნობენ ოქრო-ვერცხლს და ხარბად იყრიან უბე-ჯიბეში; მაგრამ რაც მეტს იყრიან, იმდენი უფრო ოფლსა და სისხლში გაპოხილი ჯიბეები გძელდებიან რეზინებივით და იქ ჩაყრილი ფული უფრო და უფრო ეცოტავებათ; ხან-დასმით სამჭედუროში ცვივა ძველი კედლების ნანგრევები და მაშინ დგება ქესატობა, უსაქმურობა, საერთო კბილთა ღრჭენა, ვიდრე რამოდენადმე ამოიწმინდებოდეს უცნაური სამჭედურო, სდგას სულის შემხუთავი ატმოსფერა. საერთოდ, ეს უთავ-ბოლოდ აჩოჩხილი შენობა არც თუ ინგრევა, არც თუ შენდება, არც თუ სახლსა ჰგავს, არც თუ საპყრობილეს, უფრო კი მეორეს, ვიდრე პირველსა.

მეორე სურათი არ არის დამთავრებული. აქ საშინლად ელავს, სურათი ბრიალებს ისეთი სიცხოველით, რომ შეუძლებელია თვალი გაუსწორო. აქ გაცხარებული, თავ-განწირული მუშაობაა; ყველა მოძრაობს, ყველა მოქმედობს, ყველა საქმიანობს; მაგრამ ეს არ არის უბრალო მომაკვდავთა ყოველდღიური საქმიანობა; აქ ყველაფერი დუღს, სჩქეფს, ბობოქრობს, ღელავს; ეს განხოციელებული სიცოცხლე არის. შეუძლებელია სურათის გარედან დათვალიერება, რადგან ვით დაუდეგარ მაჰრით სავსე ქვევრთა მარანი უბრალო ცნობის მოყვარე მაცქერალს დარეტიანებულს უკუ აგდებს, აგრეთვე ის სურათიც გარედან მაყურებელს, თუ სულ არა ჰკლავს, ცოცხალმკვდარს მაინც მიწაზე ართხობს, რაიც სიკვდილზე უფრო უარესია. მაგრამ თუ ვინმე ღირსეულად, სამეგობროდ შიგნით შევა, ახალ საქმეთა გაიზიარებს, იგი განიცდის ციდან ნაკურთხ სიამოვნებას, დაეწაფება თვით უკვდავების წმინდა ნექტარსა, რადგან აქ თითო ხელის გაქნევაც, თითო აქტიც დიადი საისტორიო მოვლენა არის და მის მომქმედნი უკვდავ ჰყოფენ თავიანთ სახელს; საუკუნოთა განმავლობაში მადლიერი შთამომავლობა მათზე ილოცავს და იმათ სახელს ეთაყვანება.

მაგრამ ავხადოთ სურათებს მოკრძალების რიდე და გადავავლოთ თვალი.

სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრება, რომელიც დღეს, თითქოს ჯადოქარი ჩხირის დაქნევით, ერთბაშად და მთელის თვისის ძლიერებით გადაიშალა ჩვენ თვალწინ აქ, კავკასიაში, და მთელ რუსეთის იმპერიაში, ეს ცხოვრება ერთ დღეს არ შექმნილა. იგი ლოღიკური დასკვნაა, ხანგრძლივ პროცესის, პირდაპირი ეტაპია იმ გზისა, რომელზედაც ჩვენ შევდექით, თუ შეიძლება ნიშნობლივად ითქვას—ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ. ბატონყმობის უღლიდან გამოშვებულ გლეხობამ ვერც კი მოასწრო ერთი თავისუფლად ამოექშინა, რომ მას მთელი თვისი სიმძიმით დააწვა ახალი, მაგრამ მოუწესრიგებელი წყობილება. მხოლოდ პატარა უმცირესობამ, ვისი რიცხვი თითებზე ჩამოითვლება და ვინც განსაკუთრებულ ხელსაყრელ პირობებში მოჰყვნენ, მოახერხეს ზევით ამოსვლა და ვაჭრების, მრეწველების ანუ მემამულეთა კატეგორიაში ჩაირიცხნენ. დიდი უმრავლესობა კი ოთხად მოხარა მძიმე ეკონომიურმა უღელმა: მიწის სივიწროვე და თანაც სრული უმიწა-წყლობა, გაუთავებელი, დაუსრულებელი გადასახადები, პირდაპირი თუ ფარული, უზომო ხარჯი-ბორჯი, ბეგარა და სხ. ეს უდელი გამოყულფა და გააქვა-კლდევა ახალ წყალში დაფერილმა ძველმა პოლიტიკამ. ხშირად, თუ ყოველთვის არა, გლეხის დუხჭირ ცხოვრებასთან შედარებით, ფაბრიკა-ქარხანაში ქირაზე მუშაობა სანატრელ მდგომარეობას წარმოადგენდა, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, გლეხს მაინც **არ შეეძლო** თავის ფარაჯა მუშის ხალათზე გაეცვალა. ეკონომიურ და იურიდიულ სიდუხჭირესთან სდევდა მისი ბუნებრივი შედეგები; ფიზიკურ სიღატაკესთან ჩაწმახნილიყო გონებრივ-ზნეობრივი სიღატაკე, უმეცრება, შავ-ბნელი უმეცრება, ცრუმორწმუნება და ყოველგვარი სიბეჩავე, სასოწარკვეთილი სიბეჩავე.

თუ შენ მიუახლოვდებოდი გლეხს და ეტყოდი—მისი ამგვარი დავრდომილება არ არის ადამიანისთვის ქუდბედად თანდაყოლილი მდგომარეობა, შესაძლებელია ისეთი ცხოვრება, რომ მასაც ჰქონდეს რიგიანი სახლ-კარი, სარჩო-საბადებელი ისე, როგორც ყველა ადამიანს, რომ ამისთვის საჭირო არ იყო არც სხვის დაჩაგვრა და არც ვისთანმე ყმობა-მონობა, მხოლოდ უნდა შეცვლილიყო წეს-წყობილება, შენი მსმენელი გლეხი, თუ გულ-კეთილი ადამიანი იყო, გომში არ ჩაგაგდებინებდა, მარა მთქნარებით მაინც გაგაჩუმებდა; და თუ აღიჭურვებოდი მოთმინებით და დაჰსაქმებდი შენს მჭერმეტყველებას, გლეხი გისმენდა იმავე ინტერესით, როგორც ცხრა-თავიან მდევებზე ზღაპრებს; შენ კი, წახალისებული იმის მაცდურ ცნობის-მოყვარეობით, განაგრძობდი ქადაგებას და კვლავ მოაგონებდი წეს-წყობილების შეცვლის საჭიროებას—აქ კი გლეხი აღაპყრობდა ცისკენ თვალებს და გადმოგხედავდა: კაცისა თუ არ გეშინიან, ღვთისა მაინც გეშინოდესო. შენ არწმუნებდი, ზეცა ხელ-შეუხებელია, შენ მხოლოდ ამ ქვეყნიურ საქმეებზე ელაპარაკებოდი—და გამხნევებული მსმენელის ღიმილ-სიცილით, განაგრძობდი ბაას, მაგრამ ახლა კი მას დაეტყობოდა სერიოზული მოუსვენრობა და ზეზეც წამოდგებოდა; შენა ჰფიქრობდი, მის გვერდში დაიძრა სამართლიანი, პროტესტანტული გულისწყრომა ცხოვრებისადმი, მზად იყავ მეგობრულად გადაჰხვეოდი, მაგრამ „მეგობარი“ კი მღვდლისკენ მიეშურებოდა: სახლი გაენათლა, რომ მის ოჯახს ავი ანგელოზი არ დაჰპატრონებოდა.

როდესაც უზიარებდი შენს გულის ნადებს, ჩააგონებდი, რომ სოფელი ერთობ ბრმა-ყრუაა, იგი სწრაფად მიექანება გადაგვარება-გათახსირებისკენ, რომ ლანჯვით სიკვდილი აუცილებელი იქმნებოდა, თუ მასში არ მოხდებოდა რაიმე სასიკეთო ცვლილება, რომ საჭიროა და შესაძლებელიც მისი ტვირთის შემსუბუქება, ცხოვრების გაუმჯობესობა და ამისთვის საჭირო იყო მას თვალები გაეხილა, ყურიდან ბამბა გამოეღო და ცხოვრების ახალი მოთხოვნილებისთვის ანგარიში გაეწია, საჭირო იყო სკოლების დაარსება, წერა-კითხვის გავრცელება, წიგნების კითხვა, ნასწავლ-გონიერ ადამიანთა ქადაგების მოსმენა

ლონდონი, 18 აგვისტო. „სტანდარტ“-ის სიტყვით, ინგლის-იაპონიის ახალი ხელშეკრულება მარტო იმითი არ განისაზღვრება, რომ ერთზე მეტს სახელმწიფოს ორივე ერთად ეომოს.

კარლშტადტი, 18 აგვისტო. უნიის გაწყვეტის შესახებ მოსალაპარაკებლად ნორვეგიის რწმუნებულნი მოვიდნენ.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 აგვისტო.

ოისტერბეი. პრეზიდენტმა რუზველტმა წერილი მისწერა კომურას და სთხოვა, მიულოცა მიკადოსთვის და მთელ ხალხისათვის, რომლებმაც ზავის შეკვრის საქმეში საკვირველი გონიერება გამოიჩინეს.

ნიუ-იორკი, 17 აგვისტო. „ნიუ-იორკ-ტაიმს“-ი ამბობს: ყველამ ძალიან კარგად იცოდა, რომ ვიტტე გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე იყო, დღეს კი ყველა იმასაც დარწმუნდა, რომ ის მშვენიერი დიპლომატიც არის. სწორედ რომ ითქვას, ზავის პირობები ვიტტემ უკარნახა.

პორტსმუტი, 18 აგვისტო. სახალინზე და კორეას საზღვრებზე სიმაგრეების აშენება ორივე სახელმწიფოს აეკრძალათ.

სტამბოლი, 18 აგვისტო. ზავის შეკვრის ამბავმა აქ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ბელოსტოკი, 18 აგვისტო. ზავის ჩამოგდების ამბავმა აქ ყველა გაახარა.

უმანი, 18 აგვისტო. ზავის ჩამოგდების ამბავმა აქ ყველა გაახარა.

რიაზანი. 18 აგვისტო. ზავის ამბავმა აქ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ნიჟნი-ნოვგოროდი, 18 აგვისტო. ცნობებმა ზავის შესახებ მცხოვრებლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

კაშირა, 18 აგვისტო. ზავის ამბებმა მცხოვრებლებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

პარიზი. 18 აგვისტო. რუზველტმა პრეზიდენტ ლუბეს შემდეგი შინაარსის საპასუხო დეპეშა მისწერა: „დეპეშისთვის გულითად მადლობას გიძღვნით. მადლობელი ვარ საფრანგეთისაც, რომელიც ყოველთვის ზავის ჩამოგდების მოსურნე იყო“.

მიტავა, 18 აგვისტო. კანადის მთავრობას სურს, რომ პორტსმუტის რწმუნებულებმა კანადა ინახულონ.

პეტერბურგი, 18 აგვისტო. სანდო წყაროებიდან გავიგეთ, რომ ტყვეების შესახებ რუსეთის და იაპონიის მთავრობები მალე გასწორდებიან.

პორტსმუტი, 18 აგვისტო. რუსეთის წარჩინებულმა სახელმწიფო მოღვაწემ გაარჩია, რა მოხდებოდა, ზავი რომ არ ჩამოვარდნილიყო და ამ დასკვნამდის მივიდა: მისის აზრით, რუსის ჯარის სამხედრო მდგომარეობა საუცხოოა, ლინევიჩი უსათუოდ დაამარცხებდა ოიამას, ლიაოიანისკენ და ხაიჩენისკენ დაახევინებდა, მაგრამ ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულს და სახალინს კი მაინც ვერ დაიბრუნებდა, რადგანაც რუსეთს ფლოტი სრულიად გაუნადგურეს და ამ ქვეყნების უფლოტოდ დაბრუნება კი ყოვლად შეუძლებელიაო.

ხარკოვი, 18 აგვისტო. სხვადასხვა დაწესებულებებში მოსამსახურე პირებმა ზავის შეკვრის გამო ვიტტეს მისალოცი დეპეშა გაუგზავნეს. დეპეშაზე ხუთას კაცს უწერია ხელი.

სიმფეროპოლი, 18 აგვისტო. ზავის ამბავმა მცხოვრებლებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

კამიშინი, 18 აგვისტო. ზავმა ყველა გაახარა.

კიშინევი, 18 აგვისტო. ზავმა ყველა გაახარა.

სმოლენსკი, 18 აგვისტო. ზავის შეკვრის გამო მცხოვრებლები აღტაცებაში არიან.

ელიზავეტგრადი, 18 აგვისტო. ზავის შეკვრის გამო მცხოვრები, გახარებულნი არიან. ომში წასულების ცოლები და ნათესავები ერთმანეთს ულოცავენ და სიხარულის ცრემლებსა ჰღვრიან.

კალუგა, 18 აგვისტო. ზავის ამბავმა ყველა გაახარა.

კოსტრომა, 18 აგვისტო. ზავის ამბავმა ყველა გაახარა.

ბელგოროდი, 18 აგვისტო. ზავის ამბავმა ყველა გაახარა.

პორტსმუტი, 18 აგვისტო. საზავო ხელ-შეკრულობის შესადგენად მარტენსი და დენნისონი სადამოს რვა საათამდის მუშაობდნენ, დასწერეს წინასიტყვაობა და პირველი სამი მუხლი შეიმუშავეს. ზავის გამოცხადებამდე უსათუოდ ერთი-ორი დღე კიდევ გაივლის, რადგანაც ჯერ კიდევ მთავარ-სარდლებს უნდა შეეკითხონ. პორტ-არტურის და ლიაოდუნის გადაცემა ჩინეთის თანხმობაზეა დამოკიდებული.

ლონდონი, 18 აგვისტო იაპონიის საფინანსო აგენტს ტაკახაშს რეიტერის სააგენტოს თანამშრომელთან ულაპარაკნია და, სხვათა შორის, უთქვამს: იაპონიას ლონდონის, გერმანიის და შეერთებულ შტატების ბანკებში 25 მილიონი გირვანქა სტერლინგი ხელუხლებლად აქვს შენახული და ამიტომ ახალი სესხის გაცემას არავითარი საჭიროება არ მოითხოვსო.

პეტერბურგი, 17 აგვისტო. ოფიციალური. მთავრობის ცნობა. ამ წლის მაისის ბოლო რიცხვებში, ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ზავის საკითხის გამოსარკვევად რწმუნებულების გაგზავნაზე ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტს თანხმობა განუცხადა. ამ დიდ-მნიშვნელოვან მისიის შესრულება მიენდო მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეს, სტატ-სეკრეტარ ვიტტეს და ვაშინგტონის საიმპერატორო ელჩს გოფმეისტერს ბარონ როზენს, რომელთაც უნდა განეხილათ საზავო პირობები და, თუ შესაძლებელი გახდებოდა, ზავიც შეეკრათ. მოლაპარაკება ამერიკის ტერიტორიაზე უნდა მომხდარიყო. 25 ივლისს ოსტერბეიში მოხდა რწმუნებულთა პირველი სხდომა, რჩევა კი პორტსმუტში გაიხსნა. მეორე სხდომაზე იაპონელებმა ტოკიოში შემუშავებული ზავის პირობები წარმოადგინეს. რადგანაც ამ პირობების ბევრი მუხლი ვიტტეს, ერთის მხრით, ბოძებულ ინსტრუქციის ძალით, ვერ შეეძლო მიეღო, მეორეს მხრით, რადგანაც ბევრი მუხლის რედაქცია რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგოდ შეიძლება რომ აღსნილიყო, ვიტტემ წინადადება მისცა იაპონიის დელეგატებს, თითო მუხლი ცალკ-ცალკე განეხილათ და განხილვისთვისაც საკმაო დრო მოეხმარათ. რუსეთის რწმუნებულნი იმ დასკვნამდის მივიდნენ, რომ ოთხი მუხლის გამო, შეთანხმება ვერა ხერხდებოდა; მაშინ იაპონიის რწმუნებულებმა გადასწყვიტეს, თავის მთავრობისაგან ახალი ინსტრუქციები გამოეთხოვათ. ტოკიოსთან მოლაპარაკების შემდეგ, პირველ სხდომაზედვე იაპონიის დელეგატებმა განაცხადეს, რომ ისინი უარს ამბობენ: 1) დიდს ოკეანეზე რუსის საზღვაო ძალთა შეზღუდვაზე, 2) იმ გემებზე, რომლებიც ნეიტრალურ ნავთ-სადგურებში იმყოფებიან, მაგრამ სახალინის დათმობასა და კონტრიბუციას კი მაინც თხოულობენ. რუსის რწმუნებულებმა უარი სთქვეს უკანასკნელ მოთხოვნაზე და განაცხადეს, რომ ყოვლად შეუძლებელია მოლაპარაკების გაგრძელება იქამდის, სანამ იაპონია კონტრიბუციაზე უარს არ იტყვისო. რადგანაც ამისთანა მდგომარეობას შეიძლება მოლაპარაკების შეწყვეტა მოჰყოლოდა, შეერთებულ შტატების პრეზიდენტმა რუზველტმა, რომლის თაოსნობითაც დაიწყო მოლაპარაკება, ხელ მეორედ მიმართა პეტერბურგს ხელმწიფე იმპერატორს და სთხოვა, იაპონიის მთავრობის ახალი წინადადება მიეღო. ეს წინადადება იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთს დაეთმო იაპონიისთვის სახალინის ის ნაწილი, რომელიც მას 1875 წლამდე ეკუთვნოდა, მეორე ნაწილი კი 1.200,000,000 იენში გამოესყიდა. ხელმწიფე იმპერატორმა პრეზიდენტს მადლობა გადაუხადა იმ მზრუნველობისათვის, რომელსაც რუზველტი იჩენდა ზავის შეკვრის საქმეში, მაგრამ ამ წინადადების მიღება კი შეუძლებლად სცნო, რადგანაც ნახევარ სახალინის გამოსყიდვა კონტრიბუციის გადახდას უდრის. როდესაც ეს გარდაწყვეტილება რუსეთის რწმუნებულების პირით იაპონიის დელეგატებს აუწყეს, უკანასკნელებმა, 16 აგვისტოს კრებაზე, განაცხადეს, რომ თანახმად მათის მთავრობის გარდაწყვეტილებისა, ისინი კონტრიბუციაზე უარს ამბობენ, მაგრამ სახალინის სამხრეთ ნაწილს კი თავისთვის ირჩენენ იმ პირობით კი, რომ კუნძულზე არავითარ სიმაგრეებს არ ააგებენ. რა წამს ეს განცხადება ოქმში შეიტანეს, ზავის შესახებ მოლაპარაკებაც დამთავრდა. რუსეთისა და იაპონიის საზავო ხელ-შეკრულობას საფუძვლად რწმუნებულთა რჩევაზე შემუშავებული საზავო პირობები დაედება.

ჟურნალ-გაზეთებიდან

გერმანია და რუსეთ-იაპონიის ომი. ერთი გერმანული ჟურნალი სწერს: „გერმანია ძალიან გახარებულია იმის გამო, რომ რუსეთ-იაპონიის ომმა გერმანიის აღმოსავლეთ საზღვრის საკითხი გადასწყვიტა. გერმანიას რომ რუსეთის დასავლეთი საზღვრები არ დაეცვა, რუსეთი ამოდენა ჯარს ვეღარ გაგზავნიდა შორეულ აღმოსავლეთში და ასეთ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა იაპონიას. ამ მხრით გერმანიამ უდიდესი სიკეთე უყო რუსეთს და რუსეთმაც სამაგიერო უნდა გადაუხადოს გერმანიას. ყველას, რასაკვირველია, ისევ ის აჯობებდა, რომ რუსეთს გერმანიისთვის ცოტაოდენი მიწა დაეთმო. გარდა ამისა, გერმანიამ მტკიცედ უნდა მოითხოვოს, რომ ბალტიის მხარეს, შავი ზღვის ნაპირებსა და ვოლგის დაყოლებაზე დასახლებულ გერმანელებს ცოტა ხელი მოუშვას, თავისუფლება მისცეს და ნუ ახრჩობს. თავის სახელის აღსადგენად რუსეთი თურქესტანს მიაქცევს მთავარ ყურადღებას, საიდანაც გზა ინდოეთში მიდის და მთელ თავის ძალღონეს ამ უდაბნოს გადაალევს. ეს ჩვენთვისაც ხელსაყრელია, რადგან მისი შიში აღარ გვექნება (რ.).

რუსეთის ჯარისა და ფლოტის ზარალი. „ტრიბუნას“ ანგარიშით რუსეთს შემდეგი ზარალი მოუვიდა 18 თვის განმავლობაში: პორტ-არტურში 54,000 კაცი (ტყვეებიც ნაანგარიშევია), იალუ—3000, ვაფანგოუ—8000, დაშიჩაო—4000, ხაიჩენი—4000, სიმუჩენი—2000, ლიაოიანი—28,000, შახე—58,000, მუკდენი 160,000 (90 ათასი დაჭრილი, 20 ათასი მოკლული და 50,000 ტყვე). სხვადასხვა მთაგრეხილების დაცვის დროს და სხვადასხვა თარეშის დროს საერთოდ, სულ ცოტა—50,000. კორეაში—5000, სახალინზე—5000; პორტ-არტურის მეზღვაურები—12,000, როჟესტვენსკის ესკადრა—13,000; ამას ათასი წვრილმანი და შემთხვევითი შეტაკებაც 20,000 რომ ვიანგარიშოთ, გამოვა, რომ რუსებს 18 თვის განმავლობაში დაუჭრეს, მოუკლეს და დაატყვევეს 450 ათასამდე კაცი; მათ შორის დატყვევებულია 80,000. ზოგიერთ გაზეთების ანგარიშით კი, რუსეთის ჯარის ზარალი 600,000 კაცს მაინც უდრის (რ.).

ახალი ამბავი

✦ ბაქოს გაზეთების სიტყვით, **ბაქოში დიდი გაფიცვები დაწყებულა**. ასოთ-მწყობთა გაფიცვის გამო 16-სა და 17 აგვისტოს არც ერთი გაზეთი არ გამოსულა. გაფიცულან აგრეთვე ზოგიერთი ქარხნის მუშები. ოთხშაბათს, 17 აგვისტოს ტრამვაის ვაგონების მიმოსვლა შეწყვეტილა. ქალაქის ქუჩებში კაზაკები დადიან.

✦ იგივე გაზეთები ჩივიან, რომ **ბალახანაში ღამ-ღამობით თოფის სროლაა ატეხილი** და მცხოვრებნი უზრუნველ-ყოფილნი არ არიან, პოლიცია არავითარ ყურადღებას არ აქცევს ამ გარემოებას, რადგან ხულიგანები ბერდანკებით თამამად დადიან თურმე ქუჩებში.

✦ „ჩერნ. ვესტნ.“-ი მოგვითხრობს დაწვრილებით ამბავს, **ახალ გაგრაში ცეცხლი როგორ მოსდებია მრავალ შენობებს**. ერთიანად გადამწვარა თექვსმეტი სახლი და ამდენივე დუქანი. ზარალი მეტად დიდია. კერძო პირების ზარალი თურმე 15 ათას მანათამდეა.

✦ გაზეთ „კასპი“ სიტყვით, 15 აგვისტოს, ბაქოში, ტორგოვი ქუჩაზე, ერთი სომხის დუქნიდან დაუწყიათ თოფის სროლა და მოუკლავთ ორი რუსი-მუშა და ორიც დაუჭრიათ. ერთ თვალის დახამხამებაზე თავი მოუყრია რუს-მუშებს 1,000 კაცამდე და დუქანს გარს შემორტყმია. დუქანი შიგნიდან დაუკეტნიათ. მაშინ ბრბოს მოუტანია ნავთი და დუქნისთვის ცეცხლი წაუკიდებია, მაგრამ ცეცხლის მქრობელს რაზმს მალე ჩაუქრია. ბრბო კი თანდათან იზრდებოდა და მკვლელების დაჭერას ლამობდა. მალე პოლიცია მისულა, მეორე სახლიდან მოუვლია და უნახავს, რომ მკვლელებს ქვითკირის კედელი გაენგრიათ და მიმალულიყვნენ. ბრბომ სახლსა და დუქანს ქვები დაუშინა. კაზაკებმა ბრბო მალე გაჰფანტეს.

✦ **ს. ხურვალეთი** (გორის მაზრა). 15 მარიამობისთვეს, ასე შუადღე იქმნებოდა, რომ ს. მამაცაშვილის სახლთან აქაური წითელი რაზმელები შეიყარნენ. სულ სამოც კაცამდე იქმნებოდნენ. მათ შორის გლეხებიც იყვნენ. მიზეზი ამ შეკრებისა ის იყო, რომ ამ **სახლში დროებით დაბანაკებულიყო „კეთილშობილთა“ შავი რაზმი** ანუ, როგორც ყველგან ეძახიან, თავად-აზნაურთა მილიცია. აქ იყვნენ ზ. აბდუშელიშვილი. ა. ჩუბინაშვილი, გ. ორჯონიკიძე და სხვ. წითელ რაზმელებს მათთვის იარაღის წართმევა უნდოდათ. მაგრამ მილიციონერებმა, გამორეკეს რა სახლის პატრონები, ჩაიკეტეს კარები და სასროლად მოემზადნენ. კარზე მყოფთ მშვიდობიანად სურდათ საქმის დაბოლოვება. ამიტომ ერთმა გლეხთაგანმა, მიხაკო ატენელმა სთხოვა წითელ რაზმელებს, იარაღი არ ეხმარათ; თვითონ კი გაემგზავრა მამაცაშვილის სახლის სამზარეულოსაკენ. შევიდა თუ არა ოთახში, კარზე დიდი ხმაურობა მოისმა, არ გასულა ხუთი წუთი, რომ ამ ხმაურობას ზედ თოფის გრიალიც მოჰყვა...

როგორც შემდეგ გამოირკვა, მილიციონერებს და კერძოდ აბდუშელიშვილს ჯერ უშვერის სიტყვებით გამოულანძღა ატენელი და შემდეგ ებრძანებინა: „დახვრიტეთ ეგ ხალხის ამჯანყებელი!“ ამ „სასახელო“ განაჩენის სისრულეში მოყვანა ჩუბინაშვილმა იკისრა და ატენელს ოთხჯერ ეს[illegible] როლა, რომელიც [illegible] გაკავებული ეკა[illegible]რა მილიციონერ ორჯონიკიძეს, აბდუშელიშვილი ამით[illegible] მისი ბუნება უფრო მეტს სიმკაცრეს ითხოვდა ამ საქმეში. და უბრძანა თავის „კეთილ“ ქვეშევრდომთ თავი მოეკვეთათ ატენელისათვის. ატენელი, უკვე ფერმიხდილი და სულთ-მობრძავი, შეხვეწნია, „თავს ნუ მომჭრით, მე ამ ოთხმა ტყვიამაც კარგი დღე დამაყენაო!“ ამის შემდეგ ა. ჩუბინაშვილს ტყვ[illegible] ქვეშ შეეგდო წიხლის ცემით ატენელი.

რასაკვირველია, მილიციონერებს შეეშინდათ შურის ძიებისა და სროლა ასტეხეს ოთახიდან; ესროდნენ წითელ რაზმელებს...

გაიგეს რა ეს ამბავი გლეხებმა, მაშინვე [illegible] კრიბენ ამ ბრძოლის ველთან; მაგრამ... გვიან იყო... მილიციონერები გაპარულიყვნენ. გლეხები მისცვივდნენ სახლს და ერთიანად აიკლეს, ხოლო საბრალო ატენელი ხელში აყვანილი მოიყვანეს კარში. საბრალოს დარჩა დედა, ცოლი და სამი პაწია ბავშვი...

✦ გაზ. „არშალუის“ რედაქციას შუშიდან **შემდეგი დეპეშა მოუვიდა**: ჯარი სომხებთან ერთად მაჰმადიანთა ბრბოს წინააღმდეგ [illegible] ფერს აწყობს. ქალაქში თოფის სროლაა. ცნობები მივიღეთ, რომ აგდამასა და გერიუსში მაჰმადიანები დაეცნენ სომხებს. გვეუდარებით, რაიმე საშუალებანი მიიღოთ.

✦ გაზეთ „მშაკ“-ის რედაქციამ შუშიდან **შემდეგი დეპეშა მიიღო**: „დღეს გაძლიერებული სროლაა. დაჭრილ მაჰმადიანებს სომხები ავადმყოფოებში გზავნიან. ქალაქის ერთ ნაწილში მაჰმადიანთა სახლებს ცეცხლი უკიდია. ბევრი მათგანი თავს აფარებს სომხების სახლებსა და კაზარმებში. ზოგიერთმა წარჩინებულმა მაჰმადიანმა მოინდომა შერიგება, მაგრამ ბრბომ ნება არ მისცა. მაჰმადიანებმა მოჰკლეს 1 კაზაკი და 1 ჯარის კაცი, ორი დაჭრილია. სომხებისაგან შემდგარი რაზმი და კაზაკები იცავენ ქალაქს. ამჟამად ერთ სომხის სახლს ცეცხლი უკიდია“.

✦ როგორც ს. მეჯვრისხევიდან (გორის მაზრა) გვატყობინებენ, ადგილობრივ გლეხებს **ბოიკოტი გამოუცხადებიათ მემამულეთათვის და სამღვდელოებისათვის.**

✦ როგორც ნამდვილად შევიტყეთ, ქუთაისის მაზრის უფროსად **ინიშნება პეტრე ი.** ყიფიანი.

✦ სოფ. დიღომის ახლო-მახლო შემდგარა **ყაჩაღთა ბრბო.** სამაზრო ადმინისტრაციამ ბრბოს რამდენისამე მეთაურის კვალს უკვე მიაგნო.

✦ სამტრედიიდან გვატყობინებენ: 18 აგვისტოს, დილის 11 საათზე, როდესაც არტელშიკი მარტინოვი და სტრაჟნიკი ალიობინი დეპოში მიდიოდნენ და პატარა რკინის ყუთით 3683 მ. 98 კ. ფული მიჰქონდათ დასარიგებლად, **5 შეიარაღებული კაცი თავს** დაესხა. ყაჩაღებმა დასჭრეს ორთავენი, წაართვეს ფული და მიიმალნენ. სტრაჟნიკი ალიოშინი ლაზარეთში დააწვინეს. არტელშჩიკი მსუბუქად არის დაჭრილი.

✦ **ფარმაცევტთა საზოგადოების განსაკუთრებულს კომისიას ამ დღეებში რამდენიმე კრება ჰქონდა**, რომელზედაც მოისმინეს პეტერბურგის ფარმაცევტთა საზოგადოებისაგან გამოგზავნილი ვრცელი წერილი ფარმაცევტთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. აქაურმა ფარმაცევტებმა თავისი აზრი უნდა წარადგინონ ფარმაცევტთა კრებაზე, რომელიც პეტერბურგში ენკენ[illegible]

და ერთობით მოქმედება,—გლეხი ძალიან, ძალიან იშვიათად და ისიც მეტად ბუნდოვანად დაგისახლებდა ამ სასიკეთო ცვლილების ეკონომიურ და პოლიტიკურ დაბრკოლებას, ხოლო საზოგადო, მუდმივი და ჩვეულებრივი პასუხი კი იყო ერთი: ეჰ, სადა გვცალიან ჩვენ მაგეებისთვინ, ისედაც წელებზე ფეხს ვიდგამ და მუშაობას თავს ვერ ავსდივარ, ვღონდები, ვმმარდები, რომ არ შემიძლიან იმოტელა ვისმე ქირა მივცე საქმეში და ვიშველიო და ახლა კიდევ ჩემი ბიჭიც, ჩემი საკუთარი შვილი სკოლაში მივცე, ვინღა დამატანს ხელს მინდოში, კალოზე, ურემზე? არა, არა ეგენი გლეხ-კაცის საქმე არ არი; ჩვენი საწერ-კალამი ჩვენი სახნის-საკვეთია და თოხნიჩაბი, ჩვენი წიგნი და ქაღალდია, ჩვენი სახნავი მიწა; და აი, ვინც თქვენსავით მოცლილი ბძანდება, წერვა და კითხვა კიდევ იმათი საქმეაო.

ასე და ამნაირად, მიდიოდა დრო, წელიწადები და ჩვენს ქვეყანას, ერთხელ განთქმულს გულ-უხვი პურითა და ღვინით, სწორის ნაბიჯით უახლოვდებოდა რუსეთის შიდა-გუბერნიების სისტემატიური შიმშილობის საზარელი აჩრდილი.

ეს იყო გუშინ. დღეს კი სხვასა ვხედავთ. ჩვენი სოფელი დღეს ერთნაირად გაღმოტრიალებულა. (ჩვენ ვლაპარაკობთ, რასაკვირველია, პსიხოლოგიურ ცვლილებაზე, რაც ყოველთვის უსწრობს და წინამორბედობს ცხოვრების ყოველგვარ ცვლილებას). ვერ დამისახელებთ ჩვენის ქვეყნის ერთ სოფელს, სადაც გლეხკაცობა თავ-გამოდებული არა თათბირობდეს თავის საჭირ-ბოროტო კითხვებზე და არ ეძებდეს საერთო უბედურების საერთო ძალ-ღონით შველას.

დღეს გლეხის მწუხარე ქოხში, იმის კერაზე ნახავთ გადაშლილს ისეთ წიგნაკებს, რომლის ხელში აღება, ამ რამდენიმე წლის წინად, თვით ინტელიგენტისაგანაც კი მოითხოვდა მოქალაქობრივ გამბედაობას. დღეს კი გლეხს უჭირავს ეს ნაწერები და გაბრწყინვალებული თვალებით, გაასკეცებული ინტერესით კითხულობს იმ მიზეზებს, რამაც ცეცხლი ჩააქრო იმას კერაზე, და ჰპოვებს იმ „ჯადოქრობას“, რაიც მას ხელახლა აუნთებს ცეცხლს, უფრო მეტის სითბოს, მეტის სიცხოველის ცეცხლს, და რომელიც არაოდეს აღარ ჩაქრება. დღეს სოფლის ყრილობებზე, სახალხო ტრიბუნაზე, გუშინდელი გულ-ჩათხრობილი, ბეჩავი გლეხი მჭექარე ხმით მედგრად ჰღაღადებს: გვეყო, ხალხო, გვეყო!... აი, რაც თავი შეგვისწავლია და სადამდინაც კი მისწვდება ჩვენი მამა-პაპათა ხსოვნა, გლეხ-კაცობა ვყოფილვართ და ვართ ქვეყნის სათელი, საგლეჯ-საწიწკნი; დიდი ხანია, ჩვენი ბედ-შაიბა და სიავგლახე გულ-ღვიძს გვისერავს, სიცოცხლეს გვიმხამავს; ჩვენი საცოდაობით ქვანიც კი უნდა სტიროდნენ, მაგრამ ჯერ ჩვენთვის შველა და ხსნა არ საიდან არ გამოჩენილა, ჯერ ჩვენი მცველი და მფარველი არსად არავინა ყოფილა და არც იქნება. ხალხნო, ეს სიტყვა კარგად გეყურებოდეთ, ჩვენ სხვისგან არ უნდა ველოდეთ შველას და ხსნას. ახლა დადგა დრო, რომ ჩვენ თვითონ დავილაპარაკოთ, ჩვენ თვითონ მოვეუაროთ ჩვენ ბედ-შაობას, ჩვენ თვითონ წაუძღვეთ წინ ჩვენ ცხოვრებას. სხვისგან კი არ უნდა ველოდეთ შველას, ჩვენვე უნდა გამოვთქვათ და გამოვაქვეყნოთ ჩვენი სატკივარი, ჩვენი სატანჯველი, ჩვენვე უნდა ვიპოვით ჩვენი საშველი, ჩვენვე უნდა დავასახელოთ, რომელი სამართალი და რომელი კანონი მოაწესრიგებს გლეხის ცხოვრებას. გვეუბნებიან ბატონ-ყმობა გადავარდაო. ეს ოხერი და ეს ტიალი, თუ ბატონ-ყმობა გადავარდა, რათ არი რომ ის მიწა-წყალი, სადაც ჩვენ მამა-პაპას სისხლი და ოფლი ჩაუღვრია, არ შეგვიძლიან ისე მოვხნათ, მოვთესოთ, რომ ჩვენი ნაამაგდარი, ჩვენი ნაშავ-დღევი ჩვენვე ჩავიკლათ და სხვამ არ აიკლოს, არ გაანიორწყლოს?..

მახსოვს, მე ჯერ პატარა ბალღი ვიყავი, ერთხელ დედა ჩემი გადამეხვია, გულში ჩამიკრა და კოცნა-ალერსით მახარა: შვილო, დედა გენაცვალოს, ბატონ-ყმობა გადავარდნილა, ეხლა შენც იგეთივე თავისუფალი კაცი იქნები, როგორც ჩვენი ბატონიშვილი, მამა-შენიც და ყველა გლეხები, ახალი კანონით, ისეთივე კაცებად არიან გამოცხადებული, როგორც ყველა ბატონები, არავის არც ერთი ყმა აღარ ეყოლება. მთელი ქვეყანა განგაშობდა ბატონ-ყმობა გაუქმებულია, ბატონ-ყმობა გადავარდაო. თუ ბატონ-ყმობა გადავარდა, მაშ რათ არი, რომ ჩემი ნაოხარი მიწა არ შემიძლიან ჩემი სურვილისა და საჭიროების დაკვალად ან შევიმუშაო, ან დავაგირაო, ან გავცვალო ან სულ გავყიდო, თუ ხელს აღარ მაძლევს, და მე სხვაგან გადავიღუპო, სხვა საქმეს მოვკიდო ხელი, როგორც ეს ყველა თავისუფალ ადამიანს შეუძლიან. თუ ბატონ-ყმობა გადავარდა, რათ არი რო ეს უანგარიშო ხარჯი, ბორჯი, ფოსტის ფული, ბეგარა, მარტო ჩვენ კისერზეა და სხვები კი ყალაღნათ დასეირნობენ? დასეირნობენ ჩვენ გაკეთებულ გზებზე, ხიდებსა და ბოგირებზეც და არც კი იკითხავენ: ვინ და როგორ გააკეთა?.. თუ ბატონ-ყმობა გადავარდა რათ არი რომ გადასახადებებით ჩვენ ვიყვლიფებით და ხოდაბუნები, მთა და ბარი, ტყე და მინდორი კი სხვას უჭირავს? თუ მაქვს და მაბადია რამე, სახელმწიფო გადასახადს არც მე გავექცევი, მაგრამ, მე რომ ორი დღის მიწა მეჭირა და სხვას კი ორჯერ ათი და ოცი დესეტინა, ჩემი ორი შაური რო სხვის ორ თუმანზე მეტსაც უდრის და გადასახადები რატომ არ უნდა იყოს შეძლებისა და ქონების დაკვალად გაწერილი? მე თუ მაბადია რამე, მოგცემ გადასახადს, მაგრამ, თუ მაგდენი აღარ მაბადიარა და სულს ძლივს ვიბრუნებ, რათ უნდა დამისხან ცეცხლზე წყალი? ხალხნო, თუ ბატონ-ყმობა გადავარდა, რატო სახელმწიფო სამსახური არ უნდა იყოს ყველასთვინ თანაბარი? რატო უფლება, მოვალეობა, კანონი და სამართალი არ უნდა იყოს ყველასთვინ თანასწორი და თანაბარი?.. ახლა ეს ამოდენა ბაჟები და აქციზები სასმელებზე, ჩაი-შაქარზე, სპიჩკაზე, ნავთზე და ყველა ჯანდაბაზე.

გვეუბნებიან: იყიდი—აძლევ ამ ფარულ გადასახადს, არ იყიდი—არაფერს იხდიო, და ვინც კი ყიდულობს რასმე, მდიდარი თუ ღარიბი, ყველა თანაბარს იხდის, ამაში ყველანი თანასწორნი ვართო. ხალხნო, ყველაფრით დაზიჩავებული ჩვენა ვართ და მასხარადაც ჩვენვე გვიგდებენ. აბა, ერთი წუთით ჩავუფიქრდეთ საქმეს. მე რომ ღარიბ-ღატაკი ვარ ჭამა-სმა, სანათი და სხვა რამეც მინდა, სანამ პირში სული მიდგა; ვთქვათ, მდიდარს ჩემზე დიდი მუცელი აქვს, ის ჩემზე მეტს დალევს, ჩემზე მეტს შესჭამს, მაგრამ ჩემისთანა ღარიბი მილეთის ხალხია, მდიდრები კი ბევრი არ არის ქვეყანაზე, მაშ ჩვენ უფრო მეტს ვხმარობთ, მეტს ვყიდულობთ მიუცილებელ საჭიროების საქონელს და მასზე შეკეცილი, ფარულ გადასახადებსაც ჩვენ უფრო მეტს ვაძლევთ, ვინემ მდიდრები. გარდა ამისა, ვთქვათ მე ვიყიდე რამე, საბაჟე წილი გადამხდა ერთი შაური, მდიდარმაც იგივე იყიდა და მასაც შაური გადაჰხდა; მაგრამ ღარიბი რომ ერთ შაურს აძლევს, იმას ხელი ეწვება, რადგან შაურები ოხრად არ უყრია, მდიდარი კი მარტო საყვარლის გაღიმებაში ისე გადააგდებს თუმანსა და მეტსაც, რომ იმისმა ჯიბე-ქისამ ვერც კი შეიტყოს რამე და, აი, ჩვენცა და ისიც, ორივენი, სიტყვაზე, შაურს ვაძლევთ გადასახადს; განა ეს არის თანასწორობა, ეს არის სამართალი?.. და რა მარტო გადასახადების საქმე, ყველგან და ყველაფერში ჩვენ გვატყუებენ, ჩვენზე ბუქნაობენ ყველა ჯურის ბატონები და ჩვენ არც კი გვგვეგება, საით რა ბაიბუია. ხალხნო, ჩვენ ბრმა-ყრუნი ვართ, აჯამები ვართ, არა გვესმის-რა: ჩვენი უბედურობა, ჩვენი მტერი, ჩვენი მოსისხლე მტერი ჩვენივე გაუგებრობაა, ჩვენივე უცოდინარობა და უმეცრება, დროა თვალი გავახილოთ, დროა ჩვენც გავიგოთ და შევიტყოთ რამე ქვეყნიერობისა... შავბნელი, დუხჭირი ცხოვრებით გულგატეხილნი ჩვენ გვიძახოდით: გლეხკაცის გაჩენაში ღმერთი არა ჰრევიაო და თავს კი იმითი ვიმშვიდებდით, რომ მთა და ბარი არავის გაუსწორებიაო. მე დღეს მთა და ბარის გასწორებაზე არ გელაპარაკებით, დეე, ჯერ ნუ გასწორდება მთა და ბარი. მაგრამ ჩვენც თუ კაცები ვართ, თვალები გვიხელია და თავზე ქუდი გვხურავს, ჩვენც უნდა გაგვაჩნდეს რამე ადამიანური ცხოვრებისა, ჩვენც უნდა გვქონდეს ერთი ადგილი დედა-მიწაზე, ჩვენკენაც უნდა მოდიოდეს ერთი სხივი ბრწყინვალი მზისა.

აბა, გაიხედ-გამოიხედეთ ეს ამოდენა ნახნავ-ნათესეულობა, ზღვასავით გადაჭიმული ვენახები ვისი გაკეთებულია, თუ არ ჩვენი მარჯვენისა? ამ სოფლებს იქით კიდევ დიდი ქალაქებია, დიდი საქმე და დიდი ცხოვრება; იქ აუარებელ ქონებასა და სიმდიდრეში ლივლივებენ ადამიანები და ყველა ეს ამოდენა სიმდიდრე მხოლოდ შრომით არის გაკეთებული, მხოლოდ შრომის ნაყოფია; შრომაა საძირკველი ცხოვრებისა, შრომაა რომ აყვავებს და სამოთხის წალკოტად ჰხდის ქვეყნიერობას. შრომა და ჯაფა ხომ ჩვენი საქმეა, მაშ ჩვენც უნდა გვედოს წილი ადამიანურ ცხოვრებაში... ხალხნო, შრომა დიდი მადლი, დიდი წყალობაა, მაგრამ შრომა სამართლიანი, ხოლოდ და მარტო სამართლიანი შრომა... „სამართალი... სამართლიანობა!.. სამართლიანობა“! გრგვინავს და ბობოქრობს აზღვავებული ხალხი და არც დასცხრება, ვიდრე მას არ [illegible]მუნება სამართლიანობის ცხოველ-მყოფელი სხივები!..

II

თავად-აზნაურობა.

ნებივრობას და ფუფუნებას დაჩვეული [illegible]ვალე წოდება ერთ დღეს ვერ გამოიცვლიდა თავისს ზნე-ხასიათს. მათ გალაღებულ ფანტაზიას მუდამ ევლინებოდა წარმტაცი სურათი: „[illegible] განცხრომაშია“ და, როგორც ტახტის შვილებს უნდა დაეცვათ თავიანთი პრესტიჟი, ვერ მოიშლიდენ ქეიფს. მაგრამ დრო მიდიოდა და თავადების ქვევრებიც იწრუტებოდა, ბეღლები ცარიელდებოდა, ბატონების საუცხოვო კარმიდამოზე შამბი ამოდიოდა, მამულები საითკენღაც მისცურავდნენ, უძრავი ქონება მოძრაობდა და ილესებოდა ბანკების კასაში. „დიდი რეფორმის“ ქარტეხილს მხოლოდ ერთი მუჭა თავად-აზნაურობა გადურჩა. ესენი არიან, უმთავრესად, ჩვენი დღევანდელი აგრარიები, მემამულენი. მეორე ჯგუფი ჩაეწერა რაინდების გუნდში და, რაკი მათ გარეშე მტრების მოსაგერებლად აღარ იწვევდნენ, თავიანთსავე მოძმეებზე იკმაყოფილებდნენ თავიანთ ატავისტურ ინსტინქტებს. ხოლო დიდი უმრავლესობა დაწვრილმანდა და დახურდავდა წვრილ მემამულეებად. აქ ხშირად დიდ სიღარიბეს და სილატაკეს ვხედავთ; აქ, დაბალ საფეხურზე, იშვიათი არ არის, რომ სირცხვილის გრძნობას ვერ იფარავენ შეურაცხყოფისაგან; არის ისეთი მაგალითებიც, რომ თავადები ქირაზე სამუშაოდ მიდიან.

როგორ გაუწიეს ანგარიში ამ ეკონომიურ „კატასტროფას“?

—„ოხ, დრონი, დრონი, ნაქებნი ნა[illegible]რად, წარვიდენ, განქრენ სიზმრებრივ ჩვე[illegible]რად“... მოსთქვამდა პირველ ხანებში, ჩვენი ბრწყინვალე წოდება, მაგრამ საპგლოვიარო ძაძა მალე გადაიძრო მან, სთქვა: მახლას! და შემოესმა თავისებური, ქართველური, ძველი „მრავა[illegible]ლუ ..ჟა...“ გაიმართა, ნადიმები დიალ, ბატონის საკადრისი, ნადიმები; სასახლეებსა და ქოხებში, დარბაზებსა და ბაღებში, სასტუმროებსა და სარდაფებში, მდიდრულად მორთული, გაბრწყინებულ სტოლებზე, თუ ბუნებრივ მწვანე ხავერდის სუფრაზე, გაისმოდა მათი გაუთავებელი „ლოთებო, ნეტავი ჩვენა... ახ, მეზურნე დაჰკა“...

თვის პირველ რიცხვებში უნდა მოხდეს. ფარმაცევტთა კომისიამ, სხვათა შორის, დაადგინა: ითხოვონ, რომ საფარმაცევტო ნაწილი გამოცალკევებულ იქმნას სამკურნალო მთავარ გამგეობიდან, სწორედ იმ გვარად, როგორც გამოცალკევებულია საბეითალო ნაწილი.

✦ ოზურგეთის თამბაქოს, ჩაისა და ბამბუკის **პლანტაციების გამგეთ დაინიშნა თავ. ნაკაშიძე.**

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზის ჟანდარმთა უფროსი **სოლოვიოვი დროებით სამსახურს დაეთხოვა.** მის ადგილას დროებითვე დაინიშნა პოდპოლკოვნიკი რედროვი.

✦ ტფილისის სასულიერო სასწავლებლის ბერძნულ ენის მასწავლებელი ი. ა. **გრეკოვი დაინიშნა** ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად.

✦ გუშინ, 19 აგვისტოს, საეკლესიო მუზეუმში **მოხდა კრება ქალაქის სამღვდელოებისა,** რომელსაც მსჯელობა ჰქონდა სასულიერო მოამბისა, სამრევლო სკოლებისა და ოთხკლასიან საშუალო სასწავლებლების შესახებ.

✦ გუშინ, 19 აგვისტოს, **გამოსცადეს ავლაბრის ხიდები,** რომლებზედაც ტრამვაის ვაგონებმა უნდა იარონ. ხიდები კარგები გამოდგა. წესიერი მიმოსვლა ამ ერთ კვირაზე დაიწყება. ადელხანოვის ქარხანასთან პავილიონია გამართული.

✦ ნამესტნიკის კანცელარიამ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს წინადადება მისცა, დანიშნოს ოლქის ერთ-ერთი ინსპექტორი 20 აგვისტოს ნამესტნიკის საბჭოს სხდომაში მონაწილეობის მისაღებად. მზრუნველმა ამ მიზნისთვის დანიშნა ოლქის ინსპექტორი ბ-ნი ლოვიენსკი.

✦ ეს ორი დღეა ტფილისში ჩამოვიდა **ლონდონის გაზეთების კორესპონდენტი გორდონ ბრაუნი,** რომელსაც აზრად აქვს ამიერ-კავკასია მოიაროს. საზოგადოდ კავკასიაში უკანასკნელად მომხდარმა ამბებმა დასავლეთ ევროპის ყურადღება მიიქცია. ამ მოკლე ხანში ტფილისში ჩამოვლენ უცხო ქვეყნების ბევრი დიდი გაზეთების კორესპონდენტები.

✦ ტფილისის პოლიცმეისტრად ნამყოფი ს. ს. **კოვალიოვი სოხუმის ოლქის უფროსად ინიშნება,** ნაცვლად პოლკოვნიკის პროგუბლიცკისა, რომელიც ტფილისის სამხედრო ფერშალთა სკოლის გამგედ იქმნა გადმოყვანილი.

✦ ტფილისის მეეტლეებმა შუამდგომლობა აღძრეს ქალაქის გამგეობის წინაშე, რომ ახალი არჩევნები არ მოხდეს და მეეტლეთა მამასახლისად ისევ ნ. ზილოტისი იქმნას დატოვებული.

✦ სისხლის ღვრის მოსასპობად შუშაში გაიგზავნა ჯარები განჯიდან, ტფილისიდან და ბაქოდან.

✦ მიწად-მოქმედების სამეურნეო ნაწილის ინსპექტორი დ. ს. ს. ვასილიევი ქუთაისსა და ბათომის ოლქში სცდელ პლანტაციების დასათვალიერებლად მიემგზავრება.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსმა კავკასიის ნამესტნიკის საბჭოს განსახილველად გადასცა ტფილისის საშუალო სასწავლებლების მოწაფეთა მშობლების-მიერ შემუშავებული ზომები, რომელიც უნდა მიიღონ ამ სასწავლებლების უფროსებმა.

✦ ამას წინად ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო, რომ გორში ნიჟეგოროდის პოლკის ჯარის კაცთ და ოსებ ზერუაშვილსა და სტ. გლეშიანცს ჩხუბი მოსვლიათ და ერთმანეთი დასჭრესთ. ნიჟეგოროდის პოლკის უფროსი პოლკოვნიკი კომსტადიუსი „ტფ. ლისტ."-ის გუშინდელ ნომერში უარსა ჰყოფს ამ ცნობას და მოგვითხრობს საქმის ვითარებას: ზემო მოხსენებულ ჯარის კაცებმა დუქანში აგიტატორები დაიჭირეს და მთავრობასთან მიჰყავდათ. ერთი დაჭერილთაგანი გზაში გაექცათ და ერთ სახლის ეზოში შევარდა. ჯარის კაცნი შეჰყვნენ ეზოში, სადაც ხალხმა მათ წრე შემოავლო და ვიღაცამ ერთი მათგანი სანჯლით სამ ადგილას დასჭრა, მაშინ ჯარის კაცმა იარაღი იხმარა დამჭრელი მოჰკლა. შეტაკების დროს, ხალხმა დაიჭირა კიდევ ერთი. აგიტატორები კი ყველა დაიჭირეს და პოლიციაში წარადგინეს.

✦ ქალაქის სტიპენდიანტთა ერთმა ჯგუფმა, რომელნიც ამ ჟამად რუსეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებში სწავლობენ, გამგეობასთან იჩივლეს, ხვედრ სტიპენდიას ძლიერ გაწირვებით ვიღებთ და იმასაც შემოკლებითაო. სტუდენტი პეტერბურგის უნივერსიტეტისა დიდზურაბოვი სწერს: მე წელიწადში დანიშნული მაქვს 360 მანათი და გასულ სამოსწავლო წელს კი მხოლოდ 270 მანათი მივიღეო. გამგეობამ დაადგინა მოსთხოვოს უნივერსიტეტებს რექტორებს პასუხი ამ საჩივრებს შესახებ.

ახალი პოლიტიკური პარტია ბულგარიაში

ბულგარიაში, სადაც საკონსტიტუციო წესწყობილება უკვე შემოსულია, ხალხი სახელმწიფო საქმეებს თვითონ განაგებს. ხალხისაგან არჩეული წარმომადგენლები გვერდში უდგანან მეფეს, რომელსაც უფლება არა აქვს, მათ დაუკითხავად რამე მოიმოქმედოს.

მაგრამ ასეთი წეს-წყობილება იქ ახალი შემოსულია და ამიტომ ხალხს, ერთის მხრივ, ვერ მოუხერხებია ისარგებლოს სავსებით იმ უფლებებით, რომელსაც მას ანიჭებს კონსტიტუცია და, მეორეს მხრივ კი, თვით მთავრობაც ძველ თვითმპყრობელობის ტრადიციებს ვერ ივიწყებს და სცდილობს შეძლებისადგვარად აღადგინოს თავისი უწინდელი მდგომარეობა.

ამ ორმა ძალამ,—ხალხის გაბატონების სურვილმა და თვითმპყრობელობის აღდგენის იდეამ,—მრავალი, ნაირ-ნაირი პოლიტიკური პარტია შექმნა ბულგარიაში. ზოგი მთავრობის გაძლიერების მომხრედ გამოდიოდა, ზოგი კიდევ ხალხის გაბატონებას ითხოვდა. ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნოდა კარაველოვის დემოკრატიული პარტიაც, რომელიც ხალხის ნამდვილ მეთაურივით მოქმედობდა...

მაგრამ დრო შეიცვალა. კარაველოვის მომხრეთა დემოკრატობამ ვეღარ დააკმაყოფილა გათვითცნობიერებულ ხალხის სურვილი. რაკი ხალხმა სახელმწიფოში გაბატონებისაგან პირველი ბიჯი წარსდგა, მისი გაჩერება ამ გზაზე შემდეგ არ შეუძლია არავის. თვითმპყრობელობის, ან არისტოკრატიის წარმომადგენლები მას ბრძოლას უწყებენ, მაგრამ მარცხდებიან თანდათან და ხალხი ნამდვილი ბატონი ხდება სახელმწიფოში. ამის მიხედვით იცვლება თანდათან ხალხის იდეალები და გეგმაც პრაქტიკულ მოქმედებისთვის.

ბულგარიაშიაც ძველ დემოკრატების მაგივრად ახლა გამოდიან ახალი დემოკრატები, „რადიკალური დემოკრატიული პარტია", რომელმაც ამას წინად გამოსცა თავისი პროგრამა.

ეს პარტია აცხადებს, რომ ხალხი და მხოლოდ ხალხია ბატონი სახელმწიფოში, რომ არავითარ სხვა ძალას, რამე წოდებას, ან მეფის გვარეულობას არ შეუძლია მიითვისოს ხალხის რომელიმე უფლება და ბატონად, ან დამოუკიდებელ მმართველად გამოვიდეს სახელმწიფოში. შესძლებს ხალხი თავის საქმეების რიგიანად გაძღოლას თუ არა, ეს სულ ერთია,—ხალხი თავისი თავის ბატონია და თავის შეცდომებში თვითონვე უნდა შეიქმნეს პასუხის-მგებელი.

ამიტომ უნდა შემოვიდეს საყოველთაო, პირდაპირი და ყველასათვის თანასწორი საარჩევნო უფლება, ამიტომ ხალხს, რეფერენდუმის საშვალებით, უნდა შეეძლოს პირდაპირი გავლენა იქონიოს კანონების გამოცემაზე, ამიტომ პროპორციონალური წარმომადგენლობა უნდა იქმნეს შემოღებული და ორივე სქესის ამომრჩეველთათვის სავალდებულო უნდა იყოს მონაწილეობის მიღება წარმომადგენელთა არჩევის საქმეში.

ახალ პარტიის აზრით ეს გარანტიები საკმარისი არ არის, რომ შეუძლებლად გახადოს მთავრობის გაბატონება. საჭიროა, რომ არჩევნები იყოს თავისუფალი ადმინისტრაციის გავლენისაგან, რომ მთავრობას ან მის მოხლეებს არ ჰქონდეთ უფლება გაერიონ საარჩევნო სიების შედგენის საქმეში, კენჭის ყრის დროს თვალყურის დევნებაში, რომ ეს თვალ-ყურის დევნება იკისრონ მთავრობისგან სრულებით დამოუკიდებელმა სასამართლოებმა, ე. ი., რომ ეს საქმე მოეწყოს ისე, როგორც იგი მოწყობილია ინგლისში.

პარტია არ კმარობს იმ საპარლამენტო წესებს, რომელიც ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში უკვეა შემოღებული,—მინისტრების პასუხისმგებლობას საერო კრების წინაშე, საერო კრების უმრავლესობის წრიდან მინისტრების არჩევას,—არამედ სცდილობს თითქმის მოუსპოს ყოველივე უფლება მთავრობას და ამიტომ პირდაპირ უკრძალავს არა-უმრავლესობის წრიდან მინისტრების არჩევას, უკრძალავს საერო კრების დათხოვას იმ შემთხვევაში, როდესაც კრება რომელსამე საქმეში არ ეთანხმება მთავრობას.

რადიკალ-დემოკრატებს ამოქმედებს ხალხის სრულ გაბატონების სურვილი, წინ მიუძღვის ყოველგვარ თვითმპყრობელობის და მასთან შეკავშირებულ თვითნებობის გულწრფელი სიძულვილი, აერთებს საერთო მიზანი,—არსებულ რეჟიმთან ბრძოლა.

მათ უნდათ მოისპონ კერძო პირთა ყოველი გაბატონება, სულ ერთია, იქმნება ეს ბატონი თვითმპყრობელი ხელმწიფე, თუ ხალხისაგან არჩეული წარმომადგენელი. ამიტომ პარტია მოითხოვს, რომ წარმომადგენელთა არჩევა ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ხდებოდეს, რომ ორ წელიწადში ერთხელ ხალხმა დასდოს მსჯავრი მათ მოქმედებას და შესძლოს არა-სასურველ წარმომადგენლის ჩამოშორება.

ამიტომ მოითხოვს იგი სიტყვის, პრესსის, აზრის, რწმენის, კრებების, შეკავშირების თავისუფლებას და აცხადებს, რომ ყველა ჩამოთვლილი თავისუფლება ხელ-უხლებელი რამეა, რომ ბოროტმოქმედებას ჩადის და პასუხის მგებელია ხალხის წინაშე ის მთავრობა, რომელიც ცდილობს დაუხშოს ხალხს ლაპარაკის უფლება, დააბრმავოს ადამიანი და ამითი მოახერხოს გაბატონება.

ამიტომაც კიდევ მოითხოვს პარტია, რომ შემოვიდეს სრული დეცენტრალიზაცია, რომ ყოველი ადგილობრივი საქმე ადგილობრივვე წყდებოდეს უთუოდ, რომ შემოვიდეს ფართო ადგილობრივი თვითმართველობა, რომ საერთო მთავრობას მხოლოდ თვალ-ყურის დევნების უფლება შერჩეს.

ადგილობრივი თვითმართველობა დამოუკიდებელი უნდა შეიქმნეს საერთო მთავრობისაგან. სამისოდ კი საჭირო არის, რომ ადგილობრივმა შემოსავალმა იმატოს და საერთომ კი იკლოს, რომ ადგილობრივ თვითმართველობას საკმარისი ქონებრივი სახსარი ჰქონდეს ყოველივე ადგილობრივ საჭიროების დასაკმაყოფილებლად. საჭიროა, რომ ადგილობრივ არჩევნების დროს, კენჭის ყრაში მონაწილეობის მიღება ყველასთვის სავალდებულო შეიქმნეს, რომ აქაც ხალხს მიენიჭოს რეფერენდუმის უფლება, რომ მოისპოს ყოველგვარი ადმინისტრატიული აპეკა და ცენტრალიზმი.

მთავრობისაგან დამოუკიდებელი უნდა იყოს სასამართლოც და არსებულ ბიუროკრატიულ ადმინისტრაციის მაგივრად უნდა შემოვიდეს ახალი ადმინისტრაცია, ხალხის ერთეული, მის სურვილების მორჩილად აღმასრულებელი.

იქ, სადაც სასამართლო და ადმინისტრაცია მთავრობის ყურმოჭრილი ყმა არის,—იქ მთავრობის თვითნებობა და ძალმომრეობა აუცილებელი ხდება, იქ ხალხი, ადრე იქმნება თუ გვიან, საშინელ პოლიტიკურ მონობაში ჩავარდება უთუოდ. კანონი მთავრობისთვის ისეთივე სავალდებულო უნდა იყოს, როგორც ხალხისთვის, და ამის თვალყურის მდევნელი უნდა იყოს სასამართლო და სასამართლოს გადაწყვეტილების აღმასრულებელი კი—ადმინისტრაცია. სასამართლო სამართლიანობის და კანონიერების ძლიერი იარაღია და ამიტომ იგი ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს და თვით საქმის გარჩევა და გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა კი—გაადვილებული.

პარტია, რომელსაც მიზნად აქვს ხალხის მეთაურობა, სახელმწიფოს გარეშე პოლიტიკას ვერ ასცდება და, რადგან დემოკრატების პარტიაც აცხადებს, რომ მისი იდეალია საერთაშორისო მშვიდობიანობა, მშვიდობიანობა უნდა დაიცვან მეზობლებმაც, სერბიამ, რუმინიამ, საბერძნეთმა და სხვ.—და ამ მშვიდობიანობის დასამყარებლად კი საუკეთესო საშვალება,—პარტიის აზრით,—მეზობელ სახელმწიფოთა ფედერატიულად მოწყობა არის. ბალკანეთის ფედერაცია, რომელშიაც ყველა ეროვნებას ექმნება დამოუკიდებელი არსებობა, სადაც იქმნება შემოღებული ცენტრისაგან დამოუკიდებელი ადგილობრივი თვითმართველობა, სადაც მოისპობა მუდმივი ჯარი და ხალხს ასცილდება თავიდან ის აუარებელი ხარჯი, რომელიც ახლა, ახლანდელ წეს-წყობილებაში, სჭირდება ჯარების შენახვას. ფედერაცია მოსპობს ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე შუღლსა და მტრობას და ყველას მშვიდობიან განვითარებას შეაძლებინებს.

შინაურ საფინანსო პოლიტიკაში პარტია მოითხოვს შემოსავალზე პროგრესსიულ გადასახადის შემოღებას, არა-პირდაპირ გადასახადების მოსპობას, მარილზე მთავრობის მონოპოლიის გაუქმებას, ცალკე სახელმწიფოთა სადამოჟნო გადასახადების მოსპობას და საერთო სადამოჟნო კავშირის შედგენას იმისთვის, რომ გონიერ სადამოჟნო პოლიტიკით ხალხმა მოახერხოს გაიადვილოს ცხოვრება, ხელი შეუწყოს ქვეყნის ყოველმხრივ აყვავებასა და განვითარებას.

პარტიას მიზნად აქვს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სოფლის მდგომარეობას. ჩვენი ხალხის ორი მესამედი სოფელში ცხოვრობს და ამიტომ ვალდებულნი ვართ ვიზრუნოთ მათზეო. საჭიროა სოფლის განთავისუფლება ზედ მეტ გადასახადებისაგან, იაფი და ადვილად მისაწვდომი კრედიტი, სახალხო სინდიკატების და კოოპერაციების შემოღება, სამეურნეო სასწავლებლები და სხვა და სხვა...

მუშათა კლასისთვის პარტია მოითხოვს სამუშაო დღის რამე მაქსიმუმით განსაზღვრას, გაფიცვის და კავშირების თავისუფლებას, საქარხნო ინსპექციის გაუმჯობესობას, მუშების სახელმწიფოს მიერ სავალდებულო დაზღვევას, მუშებისთვის სადგომების აგებას და სხვა და სხვა.

აქ ბულგარელთა რადიკალ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამის მხოლოდ ერთი ნაწილია გადმოცემული, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, რომ ეს პარტია დიდად უსწრებს იმ იდეალებს, რომელიც ჰქონიათ წინანდელ პარტიებს ბულგარიაში. ეს არ არის ზომიერი დემოკრატობა, რომელიც კუდმოკვეცილ რეფორმებს კმარობს, ეს პარტია არის რადიკალი პარტია, და ითხოვს, რომ ხალხს სრული ბატონობა მიენიჭოს სახელმწიფოში, რომ ხალხის სარგებლობა წინ მიუძღოდეს მთავრობის მოქმედებას ყოველთვის. ეს პარტია მედგრად ებრძვის უმცირესობის გაბატონებას და ძირს უთხრის თვითმპყრობელობის იდეას და თვითმპყრობელობის არსებობას ბულგარიაში.

მაჰმადიანები რუსეთში

(პანისლამიზმის შესახებ)

ბ-ნმა ადაევმა გაზ. „ჰაიატის" № 36-ში მოათავსა ვრცელი წერილი რუსეთში მცხოვრებ მაჰმადიანების შესახებ.

ბ-ნ ადაევის გამოანგარიშებით რუსეთში 25—30 მილიონი მაჰმადიანი ცხოვრობს და ეს ამოდენა ხალხი, რასაკვირველია, შესამჩნევ ძალას წარმოადგენს, რომლის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. მართალია, ყველა მაჰმადიანი იმავე ტომისა არ არის, მართალია ისიც, რომ ყველას იგივე ისტორიული ტრადიციები არ აქვს, მაგრამ ახლა ყველა ერთნაირად უყურებს თავის მდგომარეობას და თანასწორად იქცევა მთავრობის შესახებ.

რუსეთის შინაურ ცხოვრებაში, ბ-ნ ადაევის სიტყვით, მაჰმადიანები ყოველთვის თავდაჭერილი ყოფილან, არასოდეს არ უფიქრიათ მათ ძალმომრეობის საშვალებით უფლების მოპოვება,—კანონიერების გზას არ ასცდენიან... ამ მხრივ მაჰმადიანები ნამდვილი „სანდო" და „ერთგული" ხალხია.

ზოგიერთის სიტყვით ამის მიზეზი მაჰმადიანების უკულტურობა უნდა იყოს, მაგრამ თვით ბ-ნ ადაევის აზრით მიზეზი უნდა ვეძებოთ სხვაგან: მაჰმადიანების ყორანი და შარიათი ავალებენ მათ ერთგულებას მთავრობისადმი...

მაჰმადიანებს ბევრი მტერი ჰყავთ რუსეთში. ეს მტრები ცდილობენ მაჰმადიანების კულტურულ განვითარებას ხელი შეუშალონ და, თუ მაჰმადიანებმა სადმე ხალხის გამოსაფხიზლებლად ერთი ნაბიჯი გადასდგეს,—გაიძახიან ეს პანისლამიზმი არისო, მაჰმადიანები სარწმუნოებრივ ბრძოლას აპირებენ და სხვა ამისთანებსაც.

ძლიერნი არიან მაჰმადიანთა მტრები, ამბობს ადაევი, არაფერს არ ზოგავენ იმისთვის, რომ მაჰმადიანებს მოუსპონ კულტურულად განვითარება. მაგრამ მათი ცდა ამაოდ ჩაივლის. მაჰმადიანები რუსეთსა და კავკასიაში სხვა ერების სწორ უფლებიანი უნდა შეიქმნენ უთუოდ. ეს სურვილი არ არის პანისლამიზმი და დიდი შეცდომა არის, როდესაც მაჰმადიანთა გათვითცნობიერებას მტრულის თვალით უყურებს ვინმე, პანისლამიზმს არქმევს და ამითი უნდა გაუტეხოს სახელი ხალხის გამოფხიზლების დიად საქმეს რუსეთში.

◆

ადებსა და ხალხ შორის ჩატეხილი ხიდი ამ დროს პირველად გაამთელეს „ძმა ბიჭებმა". ჩვენი თავადობა ისეთის თავ-დაუჲეწყებით მიეცა ქეიფსა და დროს ტარებას, ისეთის სალხინო ხმებით სძრავდა ჩვენი ქვეყნის მიდამოს, რომ კაცს ეგონებოდა, ჩვენისთანა ბედნიერი არსად იყო სხვაგან ერი. საინტერესოა, რომ ერთი ინგლისელი, საუკეთესო უცხოელი მოგზაური, რომელიც ჩვენ ქვეყანას სტუმრებია როდისმე, თავისს სქელ წიგნს საქართველოს შესახებ ასეთ სათაურს აძლევს: „მოგზაურობა ღვინის, ქალების და სიმღერების ქვეყანაში".

ეს იყო გუშინ.

დღეს კი სხვასა ვხედავთ. რა თქმა უნდა, დიდი არაფერი შეცვლილა, მაგრამ ჩვენი თავად-აზნაურობა მაინც, ასე თუ ისე, ჩაეთრევია ახალ მოძრაობას, დღეს ისიც ბჭობს, თათბირობს საქვეყნო საქმეებზე, და ესეც დიდად საგულისხმოა. მართალია, ჩვენი თავად-აზნაურობა უკან ჩამორჩა რუსის თავადობას, რომელიც გადაჭრით შედგა ოპოზიციონურ გზაზე და გადაჭრით აცხადებს—არ დამშვიდდეს, ვიდრე მასაც დანარჩენ საზოგადოებრივ ჯგუფებსა და კლასებთან ერთად არ მიენიჭება გადამწყვეტი, საკანონმდებლო ხმა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში... მართალია, ჩვენ თავად-აზნაურობას ჯერ კიდევ ვერ დაუღწევია თავი ძველ გამათახსირებელ წოდებრივ აზროვნებისათვის; მართალია, იმათ კრებებზე, იმათ თათბირზე გვესმის სამარცხვინო თავის მომჭრელი მსჯელობა, გულ-გონების შემაშფოთებელი სიტყვები; მართალია ყველა ეს,—მაგრამ ისიც კი მართალია, რომ ამ თავად-აზნაურობის ერთ ნაწილს—მცირეს, რა თქმა უნდა,—უკვე გამოუფხიზლნია და სერიოზულად ცდილობს სათანადო მონაწილეობა მიიღოს თანამედროვე მოძრაობაში.

დღეს ჩვენ თავად-აზნაურობაშიც ეხედავთ კაცებს, რომელნიც მართლა აზრიანად და ნამდვილ მამულიშვილურ გრძნობებით გამსჭვალულნი მიმართავენ გლეხობას: თქვენსა და ჩვენს შორის დიდი ღვარძლი, დიდი სიძულვილი და შურის ძირა დათესა საუკუნოებმა, ბევრი შავი დღე, ბევრი უსამართლობა გინახავთ ჩვენგან წარსულში, ბევრ უსამართლობას და სიდუხჭირეს ჰხედავთ დღესაც,—მაგრამ, ნუ თუ გგონიათ ამ უსამართლობას აღმოფხვრით, ჩვენ შორის დავას გადაწყვეტთ ცეცხლითა და მახვილით? ნუ თუ გგონიათ, რომ ცეცხლი ჩაქრება იმით, რომ ზედ ნავთი გადაასხათ? ნუ თუ გგონიათ, რომ ერთმანეთის ძლეტა და განადგურება შეჰფერით იმათ, ვისაც სწყურიან სიცოცხლე, ცხოვრება, გაუმჯობესობა, განვითარება? თქვენსა და ჩვენ შორის სამიწად-მფლობელო და წოდებრივი საქმეებია გადასაწყვეტი, ეს არის მიზეზი მთელი დავიდარაბის, მთელი უბედურებისა, მაგრამ, ნუ თუ გგონიათ ამაში ბრალი ედება და ან ამის გადაწყვეტა შეუძლიან რევაზს ანუ ვახტანგს და ან კერძოთ რომელსამე თავადს? არა და არა, ათასჯერ არა! ეს საზოგადო, სახელმწიფო საქმეებია და ამ საქმეების გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ საზოგადოებრივ, სახელმწიფოებრივ გზით, ე. ი. კანონით. და განა მარტო თქვენსა და ჩვენს შორის არსებობს სამიწად-მფლობელო დავა? სამიწადმფლობელო საქმეები თვითონ ჩვენ, თავადებსა და სხვა თავისუფალ მესაკუთრეთა შორისაც ჯერ კიდევ აწეწილ-დაწეწილია. ზოგჯერ თავადებიც კი ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევენ მიჯნების თაობაზე, ვერ მორიგებულან, ვერ მოშველებულან და ვერ გაუგიათ, რომელი რომელს ეკუთვნის, ვის რა უფლება აქვს. და აბა, ერთი მითხარით, როგორ უნდა შევიმუშაო მამული, როგორ უნდა დავაბანდო შიგ ფული, თუ კი არ ვიცი ის ჩემია, თუ შენი; თუ ჩემია, ხვალაც მევე ვიქნები პატრონი, თუ ფეხზე დაყენებული საქმე და წარმოება სხვაზე გადავა? როგორ უნდა შევეცადო საქმეს, თუ კი არ შემიძლიან იგი დავიწყო და ვაწარმოვო ჩემი სურვილისამებრ, თუ კი იძულებული ვარ სხვას ვეკითხებოდე თანხმობასა და ნებართვას? და შენ რომ უმიწო-წყლობით სული გეხუთებოდეს, როგორ იფიქრებ ცხოვრების გაუმჯობესობაზე, თუ კი შენ გვერდითვე მდებარე თავისუფალ ადგილზე შენ არ გადაგიშვებენ და სხვა? გადამთიელს ჩამოგისახლებენ? და კიდევ რა ჩამოვთვალო, რამდენი რამეა მოუწყობელი და მოუწესრიგებელი... თქვენ, ზოგიერთი, ვითომ და სოციალისტები გაგონებენ, რომ კერძო მესაკუთრეების ადგილ-მამული აქვე, დღესვე, დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს ხალხს, ამათ უნდა ამუშაონ ყველაფერი ერთობით, ძმურად და ძმურადვე იყოფდენ ნამუშავარს. მაშინ მოისპობოდა სიღარიბე და სიმდიდრე, რადგან ყველანი მდიდრები თუ არა, დიდად ღონიერნი და შეძლებულნი იქნებოდნენ. კაცებო, ხალხნო, თუ კი ეს აგრეა, თქვენს პირს შაქარი! თუ კი დღესვე შესაძლებელია განხორციელდეს ძმობა და თანასწორობა, თუ კი დღესვე შეიძლება თხა და მგელი ერთად სძოვდეს და დამყარდეს მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება, რაღას ვუყურებთ? ვინ იქნებოდა ამის წინააღმდეგი, გარდა თითო-ოროლა ნაძირალა სწვლეფავთა და მტაცებელთა, რომლებსაც ადვილად მოვიგერიებდით შეერთებულის ძალით? მაგრამ, ვაი, რომ დღეს-დღეობით ყველა ეს მხოლოდ სიტყვებია, სიტყვები, ცარიელი სიტყვები და მეტი არაფერი.

დამერწმუნეთ, ნამდვილი ჭეშმარიტი სოციალისტი არაოდეს არ შეგიყვანთ შეცდომაში, თქვენი ნამდვილი მეგობარი, ჭეშმარიტი სოციალისტი არ გეტყვით იმას, ვითომ საგანი და მიზანი ქვეყნის დღევანდელ მოძრაობისა და მღელვარებისა იყოს დღესვე სოციალიზმის განხორციელება, ანუ ადგილ-მამულების, მიწის განსაზოგადოებრიობა, რაიც ერთი ცოცხალი ნაწილია საერთო, მთელი სხეულისა—სოციალიზმისა. დამერწმუნეთ, არა! ძმობა, თანასწორობა დიდი რამეა, დიდებული საქმეა და ამის განხორციელებასაც დიდი ფიქრი, დიდი აზრი უნდა, დიდი გული და დიდი გონება. ნუ თუ დღეს ჩვენ ამეების შნო და უნარი გვაქვს, ნუ თუ დღეს ამის ძალ-ღონე გაგვაჩნია? კაცებო, არ გახსოვთ რა მოხდა შარშან სოფელ ა—ში? მთელმა სოფელმა ერთად აიღო სახელმწიფო ტყე, რომ ერთობით გაეკეთებინა და ერთობით დამუშავებული ერთადვე გაეყოთ, მაგრამ, ძმობის ნაცვლად, ერთმანეთს სჭამდნენ, ვიდრე არ გაიყვნენ, არ განცალკევდნენ და საერთო საქმესაც თავი გაანებეს. არა, არა, დღეს ჩვენ ამეების თავი არა გვაქვს. ჯერ ჩვენ, კაცმა სიმართლე უნდა თქვას, შრომაც კი არ ვიცით, შრომა აზრიანი, შრომა შესაფერს ახალის დროსია. ის, რაც ჩვენ ორსა და ოთხ დესეტინაზედაც ვერ მოგვყავს, უცხო განათლებულ ქვეყნებში ერთსა და ორ დღიურზე მოჰყავთ. და ეს მაშინ, როცა ჩვენებური მიწა გაცილებით უფრო ნაყოფიერია ბუნებრივად, ვიდრე უცხოელებისა. არა, არა, დღეს ჩვენ ბევრი, ბევრი რამ გვაკლია, დიდებული საქმეების თავი არა გვაქვს და, მოდი, პატარასაც ნუ დავკარგავთ, ხალხნო! ეს პატარა, ეს ცოტა საქმე, რაც დღეს უნდა გაკეთდეს, ნამდვილად დიდ მნიშვნელოვანია, მეტად დიდი რამეა ჩვენი ხალხისთვის, ჩვენი ქვეყნისთვის. იგი აამოძრავებს ჩვენ დავრდომილ-დახავსებულ ცხოვრებას და ძალუმად გააქანებს წინ უკეთეს, დიდებულ მერმისისაკენ.

ახლა ისიცა ვთქვათ, მართალია, ვითომ ჩვენ თავად-აზნაურობას ქვაცა აქვს და კაკალიც, ცხოვრებაც და სიკეთეც? ხალხნო, აბა, დაუფიქრდით, აბა, მოიგონეთ, განა თავად-აზნაურებში ვერა ჰხედავთ ისეთებს, ვისაც კუჭი უხმება უსაჭმლობისაგან, ხორცი ეწვება ჩაუცმელობისაგან. ვინც გამოყეყჩებული დახეტიალობენ ამ ქვეყანაზე და სიბნელეში დაბადებულნი სიბნელეშივე იხოცებიან? რა ვუყოთ რომ ისინი თავად-აზნაურებად ირიცხებიან? ისინი ხო მაინც თქვენისთანა ადამიანები არიან? და რატომ არ უნდა იმმოთ და იმოყვროთ ისინი, ვინც თქვენსავე გაჭირვებაში არიან, თქვენს ტაფაშივე იხრაკებიან; რატომ ისინიც თქვენთან არ უნდა იყვნენ ჭირსა და ლხინში? მაგრამ, ვთქვათ, ღარიბ თავადაზნაურთა რიცხვი პატარა უმცირესობაა, ვთქვათ, დიდ უმრავლესობას კი მართლა დიდი მამულდედული აქვს. ერთი მითხარით, რა თავში ვიხლი მამულ-დედულს, თუ ის ოხრად, გამოუსადეგრად ეგდება, ან არ შემეძლება ის ამოვაღებინო, რის მოცემაც მას შეუძლიან; რა თავში ვიხლი მამულს, თუ არ მექნება ახალი, გაუმჯობესებული სამუშაო ხელ-საწყობი, სამეურნეო მაშინები, თუ არ შემეძლება მოსავალი ბაზარზე გავიტანო და ფულად ვაქციო? და აბა, საიდან მექნება ხელ-საწყობი და მაშინები, როცა, აუარებელი ბაჟების გამო, იმათი შეძენა ხელს აღარ მაძლევს? როგორ გავიტანო მოსავალი ბაზარზე, როცა შესაფერი სამიმოსვლო გზები არ გვაბადია; და გზებიც რომ იყოს, სად ვიპოვო ბაზარი, როცა ვაჭრობა-მრეწველობა სულსა ჰლაფავს, ხალხი გაღატაკებულია და ყველანი საერთო სიბნელეში ვიმყოფებით?

მერე ვინ გვაბნელებს, ვინ გვაძრობს სულს, ვინ გვისპობს სიცოცხლეს, ვინ არი, რომ მაჯლაჯუნასავით დასწოლია ჩვენ ქვეყანას, მთელ რუსეთის იმპერიას და აღარ გვაძლევს ამოსუნთქვის ნებას? ესენი ბძანდებიან ის ბატონები, ის ნამდვილი ბატონები, ვინც, ბიუროებსა და კანცელარიის კრესლოებში ჩასვენებულნი, ჩვენზე „ზრუნავენ", ჩვენა „გვპატრონობენ", უანგარიშო განკარგულებებით, ცირკულიარებით, რასპორიაჟენიებით. ეს ბატონები ჩვენზე „ზრუნავენ", თუმცა უანგარიშოთ, მალვით და ცხადლივ, ნება დაურთველად და ნება დართვით, ხალხის ოფლითა და ნაწვავ-ნადაგით იტენავენ და მაინც ველარ გატენეს თავიანთი უძირო ჯიბეები, უძირო მუცლები; ეს ბატონები ჩვენზე „ზრუნავენ", თუმცა ჩვენსა, ჩვენი ხალხის, ჩვენი ქვეყნის საჭიროებებს ისევე იცნობენ, როგორც იცნობდნენ მანჯურიას და იაპონიას. ამ ბატონების სახელია ჩინოვნიკობა, ბიუროკრატია. აი, ეს ბიუროკრატიაა, რომ ყველას გვბატონობს, გვბრძანებლობს და განუკითხავად, განუსჯელად, უკონტროლოდ განაგებს და სწყვეტავს ჩვენი ქონებისა და სიცოცხლის საკითხავებს. აი, ამათ მონობასა და ყმობაში ვართ ჩვენ ყველანი, როგორც თავად-აზნაურობა, ისე გლეხ-კაცობა და მთელი ქვეყანა. ვაი, რომ იმათი ნამდვილი ვინაობა აქამდის არ იცოდა ხალხმა და უხმოდ, უსიტყვოდ გვღარსლიდნენ და ვაწამებდნენ.

ახლა მაინც დადგა განკითხვის დღე! დღეს უნდა მოვთხოვოთ მათ პირველი და უკანასკნელი ანგარიში, დღეს უნდა ყველამ ერთად მივიტანოთ იერიში საერთო მტერზე და სამარადისოდ დავლეწოთ ახალი ბატონ-ყმობის უღელი, მასთან ერთად ძველი ბატონ-ყმობის ნაშთებიც. ამიტომ ჩვენი მოთხოვნაა: უფლება სახელმწიფო მართვა-გამგეობაში მონაწილეობის წარმომადგენელთა საშუალებით, რომელნიც აღჭურვილნი იქმნებიან გადამწყვეტ, საკანონმდებლო ხმით. უფლება პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი ადამიანის წოდებისა, ქონებისა და სარწმუნოების განურჩევლად, ფარულ ხმის მიცემით,—ასარჩევად წარმომადგენელთა, როგორც სახელმწიფო მართვა-გამგეობისთვის, ისე სოფლის, ქალაქის, მაზრის თუ გუბერნიის თვითმართველობისთვის; საკანონმდებლო თვითმმართველობა დაჩაგრულ ეროვნებათა, თანახმად ამავე ეროვნებათა სურვილისა, და როგორც გარანტია ამ უფლებათა განხორციელებისა—დაუყოვნებელი, სრული დავისუფლება აზრებისა და აზრების გამოქვეყნებისა (წერით თუ სიტყვით), ისე როგორც ყრილობებისა, კრებისა, ამხანაგობისა და კავშირებისა...

აი, ასე მსჯელობენ და მოქმედობენ ჩვენი თავად-აზნაურობის გონებრივად ჭეშმარიტი „თავადნი", ზნეობრივად ჭეშმარიტი „აზნაურნი".

ვლ. დარჩიაშვილი.

◆

რუსეთი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიშით ხუთ **დამშეულ გუბერნიას** თესლის სასყიდლად და დამშეულთა გამოსაკვებად დასჭირდება: ტულის გუბერნიას—6 მილიონი მანათი, ორლოვისას—3 მილ. ტამბოვისას—3 მილ. რიაზანისას — 6 მილიონი და სარატოვისას—4 მილ. პენზის გუბერნიას, გუბერნატორის ანგარიშით, მოუნდება $4^{1}/_{2}$ მილიონი. სულ ექვს გუბერნიას დასჭირდება $26^{1}/_{2}$ მილიონი მან (რ. ვ.).

◆ ამ წლის 1 აგვისტოს რუსეთში ტრიალებდა 1030 მილიონ მანათის **ქაღალდის ფული.** ერთი კვირის შემდეგ, ე. ი. 8 აგვისტოს, ხაზინამ კიდევ გამოუშვა 10 მილიონი მანათი, ასე რომ დღეს რუსეთში ტრიალებს სულ 1040 მილიონ მანათის ქაღალდის ფული (რ. ვ.).

◆ ხმა დადის, ამ დღეებში შინაგან საქმეთა მინისტრი **ბულიგინი სამსახურს თავს ანებებსო.** იმის ადგილზე ასახელებენ გრაფ იგნატიევს (რ. ვ.).

◆ რათა ხალხმა 6 აგვისტოს მანიფესტი და სახელმწიფო სათათბიროს დებულება უკუღმა არ გაიგოს, განზრახულია სხვადასხვა დაწესებულებებში წაიკითხონ **ლექციები სახელმწიფო სათათბიროს ნამდვილ დანიშნულებისა და მნიშვნელობის შესახებ** (რ. ვ.).

◆ ამას წინად ხმა გავრცელდა, ვითომ კობეკოს კომისიის მიერ შეკრებილი მასალები პრესსის მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ გადაეცემა სახელმწიფო სათათბიროს, რომელიც პრესსის შესახებ ახალ დებულებას შეადგენსო. ამის შესახებ «ბირჟ. ვედ.» იუწყება, ეს ხმა ტყუილიაო. **კობეკოს მიერ შეკრებილი მასალა გადაეცემა სახელმწიფო საბჭოს,** რომელიც არც სახელმწიფო სათათბიროს დაუცდის, არც იმის აზრს მოისმენს და ბეჭდითი სიტყვის ბედიღბალს თვითონ გადასწყვეტს (რ. ვ.).

◆ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მინისტრთა საბჭოს გადასცა აუარებელი სტატისტიკური მასალა ებრაელების ყოფა-ცხოვრების შესახებ რუსეთში. რუსეთში მუდმივი ბინადრობა აქვთ 4,899,5000 ებრაელს. აქედან 98% თავის საკუთარ ენაზე ლაპარაკობს, დანარჩენი 2% კი პოლონურსა, გერმანულსა და სხვა ენებს ხმარობს. ამრიგად **ებრაელების გადაგვარება ვერ ხერხდება.** იმავ სტატისტიკიდან სჩანს, რომ 5370 ქრისტიანი თავის სამშობლო ენად ებრაულ ენასა სთვლის და ამ ენაზე ლაპარაკობს (ნ. ჟ.).

◆ განზრახულია აფიცრებს **„დენშჩიკები" მოუსპონ.** ამის შესახებ სამხედრო მინისტრმა ამ საგანზე წარდგენილ მოხსენებას დააწერა: „საჭიროა სამხედრო მოსამსახურეთა გაუქმება" (ნ. ჟ.).

◆ ლატიშურ გაზეთ „დნევნოი ლისტოკში" დაბეჭდილია: **„ჩვენ გაზეთში რედაქციისგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო"** ვერ იბეჭდება კუპრინის მოთხრობა „დუელი" და ანდრეევის მოთხრობა „აზრი" (რ. ს.).

◆ უკანასკნელ ხანებში ბელოსტოკიდან, ვისაც კი შეუძლიან, გარბის. **ვაჭრობა და მრეწველობა შეჩერდა.** ქალაქს ცუდი დღე დაადგა (რ.).

◆ რიგიდან გერმანელებიც **გარბიან** საზღვარგარედ და შიდა რუსეთში. რიგიდან მიმავალი გემები და მატარებლები ხალხით გაჭედილია (რ. ვ.).

◆ სარატოვის ქალაქის საბჭომ შინაგან საქმეთა მინისტრს სთხოვა, აუარებელ ჯარის შენახვაზე ქალაქს ძალიან ბევრი ფული ეხარჯება. ამ ხარჯის გაწევა **აღარ შეგვიძლიან** და ამიტომ, ან ჯარი წაიყვანეთ აქედან, ან თქვენ თვითონ შეინახეთო (რ. ვ.).

◆ კურსკშიაც ბევრი ჯარი ყოფილა დაბანაკებული. ქალაქს ამ **ჯარის შენახვაზე მთელი თავის შემოსავლის მესამედი ეხარჯება.** ამის შესახებ საბჭოში ლაპარაკი აღუძრავთ და დაუდგენიათ, უარი ვთქვათ ჯარის შენახვაზე და მისი აქედან წაყვანა მოვითხოვოთო (რ. ს.)

◆ „სინ ოტეჩესტვას" ანგარიშით, მომავალ სახელმწიფო სათათბიროში ერთ **მინისტრის ხმა** უდრის, სულ ცოტა, 100 დეპუტატის ხმას (ს. ო.).

◆ 24 ივლისს რეველში **დიდებული დემონსტრაცია** მოხდა. შუადღისას შეიკრიბა 3000 კაცი. რამდენიმე წითელი დროშა აუშვეს. ამ დროშებს შავი სამგლოვიარო ნიშნები ჰქონდათ გაკეთებული. აქა-იქ ნილაბ გაკეთებული ორატორები ლაპარაკობდნენ. მერე ამოდენა ხალხი დაიძრა და მთავარ ქუჩისკენ გასწია. კაზაკებმა და პოლიციელებმა გზა გადაუღობეს. მოლაპარაკების შემდეგ პოლიცმეისტერმა 300 კაცი გაუშვა, მათ შორის, ყველა აგიტატორი და მოთავე დემონსტრაციისა. დანარჩენებმაც წაიწიეს, მაგრამ კაზაკებმა არ გაუშვეს. ხალხმა კაზაკებსა და პოლიციელებს სეტყვასავით დააყარა ქვები. ხალხი გაიფანტა, ბაღებს და სახლებს შეაფარა თავი და იქიდან რევოლვერების სროლა დაუწყო კაზაკებს. რამდენიმე პოლიციელი და კაზაკი დაიჭრა. კაზაკის აფიცერი ზურგში დაიჭრა, პოლიცმეისტერს ორგან გადაუმტვრიეს ფეხი და თავპირიც ქვებით დაუმტვრიეს. პოლიციამ ვერავინ დააპატიმრა, რადგან დაჭრილებს მათი ამხანაგები ძალით ანთავისუფლებდნენ. ამ დღეს შესრულდა ნახევარი წელიწადი მას შემდეგ, რაც რეველში პირველად დახოცეს მუშები (რ. ვ).

◆ ყირიმში, სოფელ ტიმაშოვკაში ერთი **საზარელი ამბავი** მოხდა. უკანასკნელ მობილიზაციის დროს, ომში წაიყვანეს ამ სოფლის მცხოვრები ამირანი, ახალგაზდა, დიდი და ღონიერი კაცი, რომელიც მთელ ყირიმში განთქმული იყო თავის აგებულებით. ამ კაცმა, ის-ის იყო, ჯვარი დაიწერა და ახალგაზდა ცოლი შინ დასტოვა. ორიოდე თვის შემდეგ, ბრძოლის ველიდან ჩამოიტანეს ერთი ყუთი, რომელშიაც ხელებ და ფეხებ მოჭრილი კაცი იდო. ეს ყუთი მიიტანეს ომში წასულ გლეხის სახლში. ცოლმა თავის ქმარს დახედა და განაცხადა, ეგ ჩემი ქმარი არ არის და, სადაც გინდათ იქ წაიყვანეთო. ქმარი ბევრს ეხვეწა, მაგრამ ცოლი უარზე იდგა. მერმე ეს უხელფეხო მშობლებს მიუყვანეს, მაგრამ იმათაც უარი განაცხადეს, ეგ ჩვენი შვილი არ არის და, როგორც გინდათ, ისე მოუარეთო. სოფელს დაუძახეს და ჰკითხეს, მაგრამ სოფელმაც მიუგო, ეგ ჩვენი სალდათი არ არისო. ბოლოს ყუთში ჩასმული მახინჯი სოფლის კანცელარიაში დააბინავეს და დღესაც იქ არის (რ. ვ.).

◆ ყუბანის ოლქის უფროსმა გამოსცა სავალდებულო დადგენილებანი, რომლის ძალით **კაზაკებს იარაღის ტარება ეკრძალებათ.** კაზაკებს ნება არა აქვთ არც შინ იქონიონ იარაღი და არც გარედ ატარონ. აგრეთვე აკრძალულია კასტეტებისა და ყოველგვარ მჭრელ იარაღის ტარება. ამრიგად, კაზაკებიც საიმედონი აღარ არიან (ნ. დ.).

* * *

უცხოეთი

ჩერნოგორია. ამ, პატარა მთებში მომწყვდეულ და თავისუფლების მოყვარე, ხალხის ცხოვრებაში დიდი ცვლილება მოხდა: ჩერნოგორიის მთავარმა თავის ხალხს კონსტიტუცია მისცა და დღეს თუ ხვალ, ჩერნოგორიაც პარლამენტალურ სახელმწიფოთა სიაში ჩაიწერება. ჩერნოგორიის მთავრის ნიკოლოზის ღვაწლი სწორედ იმით არის დასაფასებელი და შესანიშნავი, რომ იმან თავის ნებით მისცა ხალხს თავისუფლება და თავის ნებით შემოიღო კონსტიტუცია; ნიკოლოზმა საკმაო შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა და დარწმუნდა, რომ, ადრე თუ გვიან, ჩერნოგორელებიც მოითხოვენ თავისუფლებას, ისინიც განიმსჭვალებიან დასავლეთ ევროპის დემოკრატულ იდეებით და უეჭველად სარევოლუციო გზას დაადგებიან და ამიტომ ამ ქვეყანას წინდაწინვე ააშორა სისხლის ღვრა და არეულობა.

ჩინეთი. ჩინეთის ერთმა ელჩმა ევროპიდან პრინც ჩინგს ვრცელი მოხსენება გაუგზავნა ჩინეთის მომავლის შესახებ და ის აზრი გამოსთქვა, რომ ჩინეთში დაწყებული საკონსტიტუციო აგიტაცია ცუდ ნაყოფს—არეულობასა და რევოლუციას გამოიწვევს, და, ჩემის აზრით, მთავრობამ რევოლუციას უნდა დაასწროს და კონსტიტუცია შემოიღოსო. ელჩი თავის მოსაზრებას უფრო რუსეთ-იაპონიის ომის მაგალითებით ასაბუთებდა და პირდაპირ ამტკიცებდა, რუსეთი იმიტომ დაამარცხა პაწაწა იაპონიამ, რომ იაპონია თავისუფალი ქვეყანა იყო, ხალხი თვითონ უვლიდა თავის თავს და ამის გამო მოკლე ხანში ისე გაძლიერდა და მომზადდა, რომ უზარმაზარი რუსეთი დაამარცხაო.

პრინცს ჭკუაში დაუჯდა ეს მოხსენება და სამ გენერალ-გუბერნატორს დაეკითხა: როგორა გგონიათ, შემოვიღოთ თუ არა ჩიეთში კონსტიტუციაო? მალე ეს ამბავი მთელ ჩინეთს მოედო. რეფორმატორებმა და აგიტატორებმაც გაიგეს, რომ მთავრობა გვითმობსო, და ცეცხლს უმატეს. ბოლოს რეფორმატორებმა დაადგინეს: ყოველ გუბერნიაში შესდგეს ცალკე დაწესებულება ხალხის დეპუტაციებისაგან, რომელნიც გუბერნატორთან ერთად უნდა განაგებდნენ გუბერნიასო. მერე, როცა ხალხი შეეჩვევა ამ ახალ ხილს, საერო პარლამენტი უნდა დაარსონ მთელ ჩინეთში და პროვინციებს ავტონომიები მისცენ. კონსტიტუციას 1907 წელს შემოიღებენ.

შვეცია და ნორვეგია. როცა ნორვეგიის სტორტინგმა გადასწყვიტა შვეციასთან უნიის მოსპობა და სრული ეროვნულ თავისუფლების მოპოება, შვეციის მეფემა და რეიხსტაგმა ერთი ამბავი ასტეხეს: ეგ მხოლოდ ერთი მუჭა რევოლუციონერების დადგენილებაა და ხალხი მაგას არ თანაუგრძნობსო. შვეციის მეფეს იმედი ჰქონდა, რომ ხალხი უნიის შეწყვეტას არ მოისურვებდა და ნორვეგიის პარლამენტს შეატყობინა, კარგი იქნებოდა, რომ ხალხის აზრიც გაგვეგოთო. სტორტინგი დასთანხმდა და პლებისციტი მოახდინა. როგორც ვიცით, უნიის მოსპობის მომხრე აღმოჩნდა 366209, ხოლო წინააღმდეგი მხოლოდ 183. ამ ამბავმა, ხალხის ასეთმა ერთსულობამ და ერთპირობამ ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შვეციის მეფეზე, რომ ლოგინად ჩავარდა და სამუდამოდ უარი განაცხადა მეფობაზე.

* * *

ოქმი

1905 წლის 16 მაისს, ქუთაისის ქართული თეატრის მსახიობნი: მარო მდივანი, გაიანე ზარდალიშვილი, გრიგოლ ჩარკვიანი, იუზა ზარდალიშვილი, ალექსი ჯაყელი, ანდრია მურუსიძე და ვლადიმერ ამაშუყელი ხელწერილით შეიკრენ ერთმანეთს შორის იმ მიზნით, რომ ყველას ერთად ეშრომა სათეატრო ასპარეზზე და ეს საერთო ნაშრომი, თანაბრად თავიანთის ნიჭისა, გაეყოთ ერთმანერთს შორისვე.

ამ ამხანაგობის შედგენის დროს, ბ-ნი დავით ჩარკვიანი აქ, ქუთაისში, არ ყოფილა და მის შედგენაში არც არაფერი მონაწილეობა არ მიუღია. იგი ჩაწერილა მათ რიცხვში მხოლოდ მაშინ, როდესაც ბ-ნ მესხიშვილს უარი უთქვამს ამხანაგობის პირობებზე და მისი წევრნი უკმაყოფილოდ ოჯახიდან გამოესტუმრებია. ბ-ნ დ. ჩარკვიანის წევრად ჩაწერის შემდეგ, ამხანაგობას გადაუწყვეტია ერთად: მოვიწვიოთ საზოგადოება და გადავსცეთ ის, რაც დიდის ხნობით, ცივი ლოდის მსგავსად გულზე მძიმედ გვაწევს და ცხოვრების სახსრის მოპოვების ღონისძიებას გვისპობს. ვუთხრათ მას გულწრფელად, გულ-ახდილად ვენი ალსარება, აღსარება, რომელშიაც გამოიხატება ბ-ნ მესხიშვილის უფროსობის და ხელმძღვანელობის დროს ჩვენი ხანგრძლივი მონობა, ზნეობრივად დამცირება და ხშირად მის-მიერ მოყენებული ფიზიკური სასჯელიც. ამ მიზნის განსახორციელებლად ამხანაგობამ დაუყოვნებლივ შეჰკრიბა რამდენიმე კაცი, ამოირჩია მათ შორის სამი— ბ-ნი ჩიჩუა, დადეშქელიანი და მამფორია—და დაავალა მათ დაუყოვნებლივ ეცნობებიათ ბ-ნ მესხიშვილისათვის ამხანაგობის სურვილი და თან ისიც დასძინეს, რომ ამხანაგობა იწვევს მას საზოგადოების წინაშე თავის გასამართლებლად ყველა იმ ბრალდებაში, რასაც ამხანაგობა დაუყენებდა მას თვალის წინ.

ამორჩეულმა კაცებმა შეასრულეს საზოგადოების მინდობილება და ბ-ნ მესხიშვილისაგან პასუხად სრული თანხმობა მოიტანეს.

ამის შემდეგ, 29 მაისს, იმავე ამხანაგობამ ქუთაისის საზოგადოება კიდევ მოიწვია სათეატრო დარბაზში. საზოგადოება სერიოზულად შეხვდა ამ საკითხის გამოკვლევას და მთელი დარბაზი მაყურებელ საზოგადოებით მთლად გაიჭედა. მოვიდა მესხიშვილიც და საზოგადოების სურვილის თანახმად აირჩიეს თავმჯდომარედ ბ-ნი ს. რობაქიძე, მდივნად თეოფ. ხუსკივაძე, ბ-ნნი ი. გომართელი და ლ. დადეშქელიანი მსაჯულებად და გაიმართა კრება.

სანამ კრება დაიწყებოდა, ბ-ნმა მესხიშვილმა საზოგადოებას სთხოვა შემდეგი: „რადგან მე და ჩემი მოღვაწეობა მარტო ქუთაისს, ანუ ჩვენი ქვეყნის რომელიმე ერთ-ერთ კუთხეს არ ეკუთვნის, არამედ მთელს ჩვენს ქვეყანას, გთხოვთ ამოირჩიოთ რამდენიმე კაცი, მიანდოთ მათ ამ საქმის ყოველ მხრივ გამოძიება და, რასაც ისინი აღმოაჩენენ, გაზეთების საშუალებით ყველას ეცნობოს. ამაზედ ყველამ თანხმობა გამოაცხადა და მაშინვე აირჩიეს ბ-ნნი ს. ქვარიანი, ს. კილაძე და ლომინაძე, რომლებსაც მიუმატეს წინად არჩეული პირები და ყველას ერთად დაავალეს ამ საქმის დაწვრილებით გამოკვლევა და გამოძიების შემდეგ კრების მოხსენება.

მიუხედავად ამ დადგენილებისა, კრებამ მაინც ისურვა თავის ყურით მოესმინა ამხანაგობის ბრალდება და ბ-ნ მესხიშვილის თავის გამართლება. ილაპარაკეს საზოგადოების წინაშე ბ-ებმა ჯაყელმა, ჩარკვიანმა, ზარდალიშვილმა და სხვებმა, რომლებმაც უმთავრესი ბრალდება იმაში გამოხატეს, რომ ბ-ნი მესხიშვილი უზრდელად ეპყრობოდა მათ, ზნეობრივ ამცირებდა მათ პიროვნებას, მოქმედებით შეურაცხჰყოფდა და ქონებრივად ავიწროვებდა.

ყველა მათ შორის, განსაკუთრებით დავით ჩარკვიანი, იქცევდა საზოგადოების ყურადღებას, როგორც უფრო გულნატკენი და ბ-ნ მესხიშვილის მოქმედებით ვითომდა დასჯილ-დაჩაგრული. მან დიდის აღელვებით უამბო საზოგადოებას ბ-ნ მესხიშვილის მიერ მისი დევნა, დამცირება, მიწასთან გასწორება და მოსპობა. უჩვენა საზოგადოებას საბუთები, რომლებიდანაც სჩანს, რომ ბ-ნი მესხიშვილი ყველგან მდევნის, მემტერება და საზოგადოების თვალში მამცირებსო. ეხება არამც თუ მარტო ჩემს არტისტიულ ნიჭს, არამედ ზნეობრივადაც მკლავს—მათახსირებს. ავრცელებს ჩემზე ხმებს თითქო მე ჯაშუში ვიყო და ყველა ზიზღით უნდა მიყურებდესო. მოახსენა ეს საზოგადოებას და თან რამოდენიმე წერილი წაუკითხა, სადაც ბ-ნ მესხიშვილზე სწერდნენ მას, რომ ის, მესხიშვილი, ავრცელებს ჩარკვიანზე ცუდ ხმებსო.

ამის შემდეგ საზოგადოებამ ბ-ნი მესხიშვილის პასუხი მოისმინა, რომელმაც ანგარიშების წიგნებიდან მათემატიკურად დაუმტკიცა საზოგადოების წინაშე თავის ბრალმდებელ-მსახიობებს, რომ სეზონის განმავლობაში იმათ, ესე იგი წვრილ მსახიობებს უფრო მეტი რგებიათ, ვიდრე თვითონ ბ-ნ მესხიშვილს.

აქედან ბ-ნი მესხიშვილი დავით ჩარკვიანის პასუხზე გადავიდა და სავსებით აღიარა ბ-ნ ჩარკვიანზე ამგვარი ხმების გავრცელება, თან აცნობა საზოგადოებას მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს მასში ამგვარი აზრის და რწმენის შედგენა, და თავისი პასუხი აღელვებულ სიტყვებით დაასრულა: „დიახ, საუბედუროდ, ახლაც უნდა მოგახსენოთ რომ ჯაშუში ბრძანდებითო".

ბ-ნი მესხიშვილის პასუხის შემდეგ, კრება დაიშალა და ზემორე აღნიშნულ პირებს კიდევ სთხოვეს წარმოდგენილ საბუთების გარჩევა, მოწმების დაკითხვა და საზოგადოდ ამ საქმის უფრო დაწვრილებით შესწავლა და გამოკვლევა.

ამგვარ მინდობილების გამო, კომისია შეუდგა საქმის გამოძიებას, მოახდინა რამოდენიმე კრება, სადაც გაარჩია წარმოდგენილი საბუთები, შეამოწმა იგი სინამდვილესთან, დაეკითხა თითოეულად ყველა მსახიობს, შეკრიბა ცნობები, რომლებიც საჭირო იყო დასამტკიცებლად განსაკუთრებით იმ დიად ბრალისა, რომელსაც ბ-ნი მესხიშვილი სდებდა დ. ჩარკვიანს და აღმოაჩინა შემდეგი:

1) მსახიობთა მიერ შემდგარი ამხანაგობა დაარსებულა იმ მიზნით, რომ შეერთებულის შრომით გაეუმჯობესებინათ თავისი ქონებრივი მდგომარეობა, ყველას თითოეულისათვის და თითოეულს ყველასათვის ეზრუნა, რათა შემდეგში ეს საერთო ნაშრომი ერთმანეთს შორის გაენაწილებინათ და ამით, ცოტათ თუ ბევრად, უზრუნველი ყოფილიყვნენ.

დაარსებულა ეს ამხანაგობა სრულებით ობიექტიურად, ბ. მესხიშვილის შეუკითხავად და დაუსწრებლად. მესხიშვილს გაუგია მხოლოდ მსახიობთა მიერ წამოყენებულ პირობების დროს, როცა ხელშეკრულობით ამხანაგობა კიდეც შეკავშირებულიყო და მოქმედებაც დაეწყო. ეს პირობა უარჰყო ბ. მესხიშვილმა. უარჰყო განსაკუთრებით ორი მიზეზისა გამო: ერთი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ამხანაგობამ, ამ, ჯერ ისევ ნორჩმა და ახალგაზდა ერთობის კავშირმა, ღირსადაც არ სცნო, ეცნობებინათ მესხიშვილისათვის ამხანაგობის დაარსების სურვილი და ამით არ მისცა მას ღონისძიება, როგორც ერთი მათი პროფესიონალური ამხანაგთაგანი მათ ამხანაგობაში მაინც ჩაწერილიყო და მეორე იმაში,—რომ ამგვარი პირობის დაკმაყოფილება ქონებრივ მხრივ მისთვის სრულებით შეუძლებელი შეიქმნა.

ამგვარად, პირობის უარყოფამ და ამის გამო ამხანაგობასთან მწვავე მოლაპარაკებამ დიდი უსიამოვნება გამოიწვია მსახიობთაგან, რის შემდეგაც ბ-ნ ჩარკვიანი უკავშირდება ამ ამხანაგობას, და ეს არის, რომ აქედან იწყება ამხანაგობის მიერ მესხიშვილის ბრალდებულება და მისი საზოგადოების წინაშე საქვეყნოდ გასამართლება.

ბ-ნ მესხიშვილს ორ გვარ ბრალსა სდებენ: ზნეობრივს და ქონებრივს. ქონებითი ბრალდებულების პასუხად ბ-ნ მესხიშვილმა იქვე, საზოგადოების წინაშე ანგარიშების წიგნების შემწეობით ყველას ნათლად დაუმტკიცა ამ ბრალდებულების სრულიად უსაფუძვლობა, რის გამოც ბრალდებულებმა ეს მუხლი იქვე უარჰყვეს. რაიცა შეეხება ზნეობრივ ბრალდებულებას. ე. ი. იმას, რომ მსახიობთ უდიერად ექცევა, ლანძღავს, აგინებს, უმეტესად სცენაზე თამაშის დროს, და ხანდისხან ხელითაც შეხებია ზოგიერთ მათგანს,—ეს ბ-ნ მესხიშვილმა, როგორც კრების წინაშე, ისე სხვადროსაც გულწრფელად აღიარა და მიზეზებიც დაასახელა. რის გამოც კომისიამ მიიღო რა მხედველობაში:

ა) მისი ხანგრძლივი და მუდმივი სცენაზე მოღვაწეობა, სადაც სხვადასხვა ტემპერამენტის და ხასიათების დასურათების დროს, ხელოვნური ღელვა, სულიერი ბრძოლა იმდენად ასუსტებს და შლის მსახიობის ნერვებს, რომ არ შეუძლია თავის შეკავება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სცენაზე ისეთ შეუფერებელ შეცდომებს ხედავს, როგორც, მაგ., ერთი და იმავე პირის, ერთსა და იმავე დროს სცენაზე, მოქმედება და სცენის გარეშეც (პიესა „ავათმყოფი ხალხნი"! იდას როლი და როიალზე დაკვრა.) მკვდრის გაქცევა სცენიდან (პიესა პატიოსანი ქაკი და სხვანი).

ბ) კომისიამ ისიც სახეში მიიღო, რომ სცენის გარეშე თუ სადმე ჰქონია ადგილი ბ-ნ მესხიშვილის მიერ ლანძღვა-გინებას და მსახიობთა მწვავე შენიშვნების მიცემას, ამას თავისი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა.

აქ კომისიამ ნათლად დაინახა მესხიშვილის შენიშვნების კეთილშობილური მიზანი, მაზანი, რომლითაც მას სურდა თავისი მსახიობების ავტორიტეტის ამაღლება საზოგადოების თვალში და დაყენება იმ წერტილზე, რომელზედაც პრინციპიალურად უნდა იდგეს ამ წმინდა ხელობის ყველა მოსამსახურე, და არა სხვა რაიმე მათი ღირსების დამამცირებელი მიზნით (მაგ. ტფილისში ბ-ნ აბაშიძის მიერ მათი დაპატიჟება და ქუთაიში თ. კ. ერისთვის პიესის თამაშის დროს გარემოებანი.) ამისათვის, თუმცა ამგვარი მკაცრი შენიშვნები და პიროვნების შეურაცხყოფა კომისიამ ადამიანის ღირსებასთან შეუფერებლად სცნო და კიდეც გაკიცხა იგი, მაგრამ მიიღო მხედველობაში ყველა ზემორე ნაჩვენები მიზეზნი და გარემოებანი, რომლებიც უმსუბუქებენ ბ-ნ მესხიშვილს ამგვარ დანაშაულობას.

2) ბ-ნ მესხიშვილმა კრებაზე ჯაშუში უწოდა დ. ჩარკვიანს. ეს ბრალდება, კომისიის აზრით ყველა ბრალდებაზე უსასტიკესი იყო და მიტომაც მეტი სიფრთხილით და ყურადღებით მოეპყრა ამის გამოკვლევას.

კომისიამ მოსთხოვა ბ-ნ მესხიშვილს ეჩვენებინა ყველა ის გარემოებანი და მიზეზნი, რომლის ძალითაც მას შეუდგენია ბ-ნ ჩარკვიანზე ამგვარი მტკიცე და შეურყეველი რწმენა; შემდეგ ბ-ნ მესხიშვილის და სხვების დაკითხვის შემწეობით გამოირკვა ის, რომ რამოდენიმე წლის წინად, ქუთაისის სცენაზე დაუდგამთ ბ-ნ ყაზბეგის პიესა „ქეთევან წამებული". ამ პიესის გმირი—ქეთევან დედოფალი, მართლმადიდებელ საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანების რიცხვშია ჩარიცხული და კანონის ძალით აკრძალულია წმინდანების სცენაზე დასურათხატება.

ამით უსარგებლია ერთ ვინმეს და მესხიშვილისადმი პირადულ სიძულვილით აღჭურვილს გაუგზავნია უსახელო წერილი საქართველოს ექსარხოსთან, რომელსაც მესხიშვილისთვის ამ პიესის ამ სახელით სცენაზე თამაში აუკრძალავს, მხოლოდ შემდეგში „კონსტანტინე ბატონიშვილის" სახელწოდებით მიუცია ნებართვა.

ამ გარემოებას ბ-ნი მესხიშვილი ძლიერ აუღელვებია და იმ დროინდელ თეატრალურ კომისიის წევრებისათვის მიუმართავს თხოვნით, რათა გამოეკვლიათ მათ ეს გარემოება და დამნაშავე აღენიშნათ.

კომისიის გამოძიებით ახსნილა, რომ ეს დანაშაულობა ჩაუდენია მაშიადელ სუფლიორს ბ-ნ მარჯანიშვილის თანადასწრებით და მონაწილეობის მიღებით ბ-ნ დავით ჩარკვიანისა, რაც დაამოწმა თ. შალვა დადიანის წერილობითმა პასუხმაც (შალვა დადიანი იწერებოდა: „ბატონო ჩემო! რაზედაც თქვენა მწერთ, იმ საქმისა ეს ვიცი, რომ „ქეთევან წამებულის" შესახებ დანოსი მიშო მარჯანიშვილს დასწამეს. მოწვეულნი იყვნენ მედიატორები. მედიატორებთან მარჯანიშვილმა თავი დამნაშავედ აღიარა. იქვე გამოირკვა, რომ დავით ჩარკვიანიც მისი მონაწილე იყო". თქვენი მორჩილი შ. დადიანი. 14 ივნისი 1905 წ. ქ. სოხუმში").

კომისიამ მიიღო რა მხედველობაში ეს გარემოება,—სცნო ბ-ნი დავით ჩარკვიანი არა პოლიტიკურ ჯაშუშად, არამედ დამბეზღებელად და ეს მოქმედება მისი—ბეზღობად და არა ჯაშუშობად, რისთვისაც, ჩარკვიანი გაჰკიცხა კომისიამ ამგვარ მის ღირსებასთან შეუფერებელ მოქმედებისათვის.

3) ამ მუხლით ის ბრალი ედება ბ-ნ მესხიშვილს, რომ ქუთაისში ყოფნის დროს, წაუკითხავს თუ არა ბათუმის გაზეთში დაბეჭდილი განცხადება: „ქუთაისის დრამატიულ ტრუპის არტისტებისგან წარმოდგენილი იქნება ესე და ეს პიესაო", შეუნიშნავს, რომ სახელდობ არ ყოფილა რომელი არტისტი აპირობს წარმოდგენის გამართვასო, უფიქრია, ეს განგებ ჩაუდენია ბ-ნ ჩარკვიანს იმ მიზნით, რომ ესარგებლა მესხიშვილის ფირმით და საზოგადოება შეცდომაში შეეყვანაო, მაშინვე მიუცია ტელეგრამა ბათუმის პოლიცმეისტერისათვის და უცნობებია თავისი წინააღმდეგობა.

რამდენად შესაფერი იყო ბ-ნ მესხიშვილის მოქმედება ამ შემთხვევაში, ან ჰქონდა თუ არა მას უფლება ეს მოემოქმედა, კომისია ვერ შევიდა ამის გარჩევაში, რადგან ხელში არ ჰქონდა ის ერთად ერთი დამამტკიცებელი საბუთი—აფიშა, სადაც გარკვევით იქნებოდა ნაჩვენები მსახიობთა სახელი და გვარი. და ამასთან, ისიც საჭირო იყო თუ აფიშები როდის იყო ქუჩებში გაკრული: ერთსა, და იმავე დროს, როცა გაზეთში განცხადება დაიბეჭდა, თუ შემდეგ.

ერთი სიტყვით, ამ მოქმედებაში გამოსჩანს პირადული და ზოგან კომერციული წვრილი ანგარიშები, რომლებსაც საზოგადოებისათვის სულ ცოტა მნიშვნელობა აქვს და იმისათვის ეს კითხვა, კომისიამ საზოგადოების გასარჩევად და გადასაწყვეტად დასტოვა.

ამგვარად, ყველა ზემორე ნაჩვენებ გარემოებათა გამოკვლევამ იმ დასკვნამდის მიგვიყვანა და კომისიის თითქმის ყველა წევრებზე ის ღრმა შთაბეჭდილება იქონია, რომ ეს გასამართლება გამოწვეულია არა მსახიობთა მტკიცე რწმენით, რომ თითქო ბ-ნი მესხიშვილი ტირანულად ექცეოდა და ავიწროებდა მათ ქონებრივად, არამედ სულ კერძო ხასიათის მიზეზისა გამო და კერძო პირის შთაგონებით და გავლენით.

კომისიის ეს შთაბეჭდილება და აქიდან გამოყვანილი დასკვნა კიდევ უფრო თვალსაჩინოდ დაამტკიცა ბ-ნ მესხიშვილისადმი მიწერილმა ბარათმა, რომელსაც ერთი მის ბრალმდებელთაგანი ბ. ზარდალიშვილი გულწრფელად სწერს თავის ვითომდა მწვალებელს და მტანჯველს ბ. მესხიშვილს შემდეგს: „ბატონო ვლადიმერ სარდიონის ძევ! უღელში გაბმულ ხარს საყვედურს აღარ ეტყვიან. თუმცა კი საყვედურის კი არა, მეტის ღირსიცა ვარ. მაგრამ რა ვქნა გამაბეს უღელში და უნდა გამეწია.

ეჰ! ღმერთმა ჰკსთხოს იმას, ვინც თქვენი თავი მოგვამდურა და დაგვაშორა. თუმცა ჩემი სურათი უკან დამიბრუნეთ, მაგრამ ჩემთვის თქვენი სურათი დარჩება საუკუნოდ, სიკვდილამდის სანახსოვროდ რადგან თქვენი სიყვარული გულიდან არ ამოვა.

სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ გვიანღაა. ვრჩები თვალ ცრემლიანი—იუზა". ამ გვარისავე შინაარსის წერილი მოუვიდა ბ. მესხიშვილსა მეორე მომჩივრის მსახიობის ა. მურუსიძისაგან, რომელსაც ამასთანავე ვადგენთ.

თავჯდომარე კომისიისა ს. გომართელი.

წევრნი: სიმონ ქვარიანი, ნიკიტა ჩიჩუა, ლევან დადეშკელიანი, სიმონ ლომინაძე, სერგეი რობაქიძე, სამსონ კილაძე. მდივანი თ. ხუსკივაძე.

ყველა ეს ზემორე მოხსენებული მუხლები საზოგადოებისაგან შეუცვლელად მიღებულ იქნა გარდა ერთი მუხლისა, რომელიც ჯაშუშობას შეეხება. ეს მუხლი საზოგადოებამ საკმაოდ გამორკვეულად არ იცნო.

თავჯდომარე ი. გომართელი.

მდივანი თ. ხუსკივაძე.

* * *

თეატრი და ხელოვნება

ქ. თელავი. თელავში მეტად სიმპატიური ამხანაგობა დაარსდა. მიზანი ამხანაგობისა არის იაფ-ფასიან წარმოდგენების მართვა და სახალხო სახლის აშენება. ამის გულისთვის ამხანაგობა ყოველ წელიწადს გამართავს გასართობ საღამოს და როცა საკმაო ფულს მოაგროვებს, თეატრის აშენებას შეუდგება.

ამ ამხანაგობამ პირველად გამართა წარმოდგენა ხუთშაბათს, 11 აგვ., აჯამამედოვის თეატრში. წარმოადგინეს ცნობილი პიესა „ცხოვრების გარეშე", ყოველ-დღიური ეპიზოდი 4 მოქ. [illegible], თარგ. შ [illegible] ძისა. ცნობილ მსახიობმა დ. აწყურელის და გ. გა [illegible] ურელიძის [illegible] დნენ ადგილობრივი [illegible] ჭავარიანი, [illegible], ევანგულოვა ბ-ნნი: მ. აჯამამედოვი, ი. ვასვაძე და [illegible] საზოგადოდ პიესამ მშვენივრად ჩაიარა. გ. გამყრელიძემ და დ. აწყურელმა მშვენივრად დაგვიხატეს და ცოცხლად დაგვიხატეს ცხოვრებიდამ გარი და აბუჩად აგდებული მოსამსახურენი: პირველმა ტიოსან მოხუცის მწვარეულ ოსიპის როლი და მე რემ გაღაზღანდარავებულ იაკოვისა. მეტად საპა როლი ეკისრა ქ-ნ ევანგულოვს,—მოსამსახ ზოლიასი. ქ-ნი ევანგულოვასა პირველად გვხვ თუ არა ვცდები, პირველადაც გამოდის სცენაზ რამ, ამის და მიუხედავად, ჩინებულად შესრუ როლი, თუმცა ცოტა მორცხვობა ეტყობოდა. ქ ურელიძემ შესაფერად შეასრულა ნატალიის ს ცევის როლი.

საზოგადოდ პიესამ კარგი შთაბეჭდილება ს გადოებაზე იქონია.

ამ საღამოს ბილეთები 22 კ. 1 მანათამდე ფ და და ამისთვის თეატრის დარბაზი ხალხით ს იყო.

* * *

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებ

19 აგვისტო.

ვარშავა, 18 აგვისტო. კომერციულ წ ებში ზავის შეკვრამ დიდი სიხარული გამოიწ

ბაქო, 18 აგვისტო. ზავის ამბავმა ბი მოქმედება საშინლად ასწია.

მელენკი, 18 აგვისტო. საბჭომ შუამდგ ლობა აღძრა, რომ ქალაქი დამოუკიდებელ ს ერობო ერთეულად იქმნას გამოყოფილი.

კალუგა, 18 აგვისტო. გუბერნატორმა წ ნადადება მისცა. საერობო და ქალაქის გამგ ბებს, რომ სახელმწიფო სათათბიროში ამომრჩ ლების სიის შედგენას შეუდგნენ.

პარიზი, 18 აგვისტო. პრეზიდენტმა ლუ ხელმწიფე-იმპერატორს შემდეგი შინაარსის დ პეშით მიმართა: „მხურვალე მოლოცვას ვუძ ღვნი თქვენ უდიდებულესობას. საფრანგეთი, რუ სეთის მოკავშირე—ბედნიერია მით, რომ ომ ბოლო მოეღო". ლუბემ მიკადოსაც მისწ დეპეშა შემდეგის შინაარსისა: გილოცავთ ზავ შეკვრას, რომელიც შედეგია თქვენი გონიე ბისა და ღმობიერებისა.

ლონდონი, 18 აგვისტო. აქამდის ტოკ დან არავითარი ცნობები არ მოსულა. პირვ დეპეშა იქიდან საღამოს ექვს საათზე რეიტ სააგენტომ მოგვაწოდა. ამ დეპეშაში ნათქვამ რომ საზავო პირობების შესახებ იაპონიაში და ვრილებით საზოგადოებამ არაფერი იცის არ იციან, რა ბედ-იღბალი ეწვია სახალინ არც ის იციან, როგორ გადაწყდა კონტრ ბუციის საკითხი. თუმცა იაპონიაში ცოტა ცნ ბები მიდის, მაგრამ მაინც დარწმუნებულნი არიან, რომ იაპონიის რწმუნებულებმა ბევ დაუთმეს. თუ ზავის პირობები ბევრად იმა ცუდი გამოდგა, როგორც იაპონიაში მოელ პრესსა უსათუოდ დაჰგმობს და გაჰკიცხავს მა რადიკალები ფიქრობენ, რომ სამინისტრო უს თუოდ გამოიცვლებაო.

ჟიტომირი, 18 აგისტო. ზავის შეკ გამო აქ დიდი სიხარულია.

პეტერბურგი. გაზეთის სიტყვით, ვიტტე ვის შეკვრის გარდა, დავალებული აქვს, რომ ა კაში რაოდენიმე ფული ისესხოს. ეს მინდ ვიტტემ კარგად შეასრულა. რუსეთისთვის ს რუნველყოფილია.

პეტერბურგი. ოფიციალური. შორეულ აღმ სავლეთიდან ოფიციალური ცნობები არ მოსულა.

პორტსმუთი, 18 აგვისტო. მარტენსმა და დ ნასონმა შეიმუშავეს საზავო ტრაქტატის გეგმ შეიც სულ რვა უმთავრესს და რამდენიმე დამატ ბითი მუხლები შეჰ:. ხვალ ზავის პირობების რედაქ ციის შემუშავებას დაამთავრებენ, და რუსეთ თანადასწრებით რწმუნებულები ოქმებს ხელს მოაწ რენ.

ლონდონი, 18 აგვისტო. ინგლისში მყოფ იაპონიის საფინანსო აგენტმა ტაკაჰაშიმ განაცხა რომ იაპონია ახალ სესხზე სრულიადაც არა ფ რობს, რადგანაც მას ნიუ-იორკში, ლონდონში ბერლინში ათ მილიონ გირვანქა სტერლინგზე მეტი აქვსო.—„ნიპპონის"-ს საზოგადოებამ გემ გოვში უკვე 8 ახალი სავაჭრო გემი შეუკვეთა ზინაა კომერციულ ფლოტის გადიდებას შ შეუდგება.

ტოკიო, 18 აგვისტო. გუშინ ზავის ამბ რომ მოვიდა, გაზეთ „ხოჩი"-ს რედაქცი სასახლეზე ბაირაღი დასხრეს მგლოვიარობის ნიშ ყველა რედაქტორებს, გარდა „კოკუმინის", საერ ბო კრება ჰქონდათ და გადასწყვიტეს, რომ ზ ოფიციალურად გამოცხადდება, ყველა რედაქ თავიანთ დროშებს დახრიან.

ნიუ-იორკი. ინგლის-იაპონიის კავშირს ახ აქვს, სხვათა შორის, საერთო ძალით დაიცვ აზია რუსეთის ზეგავლენისაგან. ინგლისი თავ რომ იაპონიას დიდხანს შერჩება ახლად ნილი მიწა-წყალი, იაპონია კი გადაუხდის ინ გლისს დახმარების, თუ რომ მის სამფლო აზიაში ვინმე შეესია.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 19 Августа 1905 г.
ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის. ქ., № 5